

# **ადენისტრაციული პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2018, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2018, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2018, №3

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2018, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. წინმსწრები განჩინების კანონიერების შემოწმება

## წინმსწრები განჩინების კანონიერების თაობაზე გასაჩივრების წესი

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-397-391(2კ-4კს-15)

16 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. რ-ის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებაზე.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მ. რ-ემ 2014 წლის 22 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობისა და მესამე პირის ე. თ-ის მიმართ. მოსარჩელემ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №60 ბრძანების ბათილად ცნობა, მ. რ-ის ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განაცდურის ანაზღაურება და სადავო აქტის ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №60 ბრძანება, მ. რ-ის გათავისუფლების თაობაზე; მოპასუხე თბილისის

დიდუბის რაიონის გამგეობას დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. რ-ის დაუყოვნებლივ სამსახურში აღდგენის თაობაზე; დაევალა მოპასუხე თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობას მოსარჩელე მ. რ-ის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტი მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. რ-ემ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/429-15, აპელანტი (მოსარჩელე) – მ. რ-ე, აპელანტი (მოპასუხე) – ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა, დავის საგანი – აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, განაცდურის ანაზღაურება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, შეჩერდა საქმის განხილვა, მ. რ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვნილია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურების შესახებ, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე სასამართლოს მიერ აღდგენილ არ იქნა პირდაპირ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი აღდგენის საკითხი სასამართლომ მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებით განახორციელა, არ დაკმაყოფილდა; მ. რ-ის მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინების (ჩანაწერი), რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხე – დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ასლის საქმეზე დართვის თაობაზე, დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ასლის, საქმეზე მტკიცებულებების სახით დართვის თაობაზე; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინების იმ ნაწილში გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის შუამდგომლობა – სარჩელის დაჩქარებული წესით განხილვაზე; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრისა (დასაბუთებული) და 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც აუცილებელი წესით მოსაწვევი მესამე პირის სახით (ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე) ჩაბმულ იქნა ე. თ-ი; დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, საქმეზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინების გაუქმების შესახებ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ; ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეკისრა ადვოკატის ხარჯები მ. რ-ის სასარგებლოდ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა მონინალმდეგე მხარის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, დანარჩენ ნაწილში; ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით მხარეებს განემარტათ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა, კერძოდ მითითებული იქნა იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო საკასაციო საჩივრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მეშვეობით. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადად მიეთითა 21 (ოცდაერთი) დღე.

მ. რ-ემ 2015 წლის 14 მაისს შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ამავე სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე, იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი მიუთითა არასწორად.

განმცხადებლის განმარტებით, მ. რ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა: – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარყოფილ იქნა სასარჩელო მოთხოვნა – გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის დაკისრებაზე; – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე სასამართლოს მიერ აღდგენილ არ იქნა პირდაპირ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი აღდგენის საკითხი მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებით განახორციელა სასამართლომ; – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინების (საოქმო ჩანაწერი) გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხე – დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ასლის საქმეზე დართვის თაობაზე, სააპელაციო პალატაში ამოღებულ იქნეს საქმიდან და დაუბრუნდეს მის წარმომდგენს; – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარყოფილ იქნა მ. რ-ის შუამდგომლობა – სარჩელის დაჩქარებული წესით განხილვაზე უარის თქმის შესახებ; – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის (დასაბუთებული) განჩინების და 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება იმ ნაწილებში, რომლითაც აუცილებელი წესით მოსაწვევი მესამე პირის სახით (ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე) ჩაბმულ იქნა ე. თ-ი; შესაბამისად, სააპელაციო პრეტენზია შეეხებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილე-

ბის ორ საკითხს – ა) გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით დაკისრებას და ბ) გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე სასამართლოს მიერ აღდგენილ არ იქნა პირდაპირ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი აღდგენის საკითხი მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებით განახორციელა სასამართლომ; სხვა დანარჩენი მოთხოვნები გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული ნაწილი დასაბუთებული და ნაწილი – საოქმო განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნებიდან, რომლებიც ცალკე, დამოუკიდებლად, მისი მიღების პერიოდში კერძო საჩივრით არ საჩივრდებოდა, მათზე არ დაიშვებოდა მიღებისთანავე კერძო საჩივარი და მათი მიღების დროს, კანონიერების შემოწმება ვერ მოხდებოდა ზემდგომ სასამართლოში. ამასთან, ისინი არ წარმოადგენდნენ სასარჩელო მოთხოვნებს. დასახელებული დასაბუთებული და სხვა საოქმო განჩინებებზე პრეტენზიების წარმოდგენა სააპელაციო საჩივართან ერთად, სააპელაციო საჩივრის ფორმატში, განპირობებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით. შუამდგომლობის ავტორი მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების წინმსწრები იმ სასამართლო აქტების – დასაბუთებული და სხვა საოქმო განჩინებების გასაჩივრება სააპელაციო პრეტენზიასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით, მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც კერძო საჩივართან დაკავშირებული წარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე, რომელიც მოიცავს პრეტენზიას, როგორც საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ასევე მის წინმსწრებ განჩინებებზე, რომლებიც ცალკე არ საჩივრდება, დაუშვებელია, რომ სააპელაციო პალატის შემაჯამებელი გადაწყვეტილებით ერთიანად, ყველა პრეტენზიის შესახებ განიმარტოს, რომ ასეთ პრეტენზიებზე მიღებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საჩივრდება საკასაციო წესით. შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ სწორია სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნებზე დაიშვება საკასაციო საჩივარი, რამეთუ აღნიშნული მოთხოვნები, არსებითი საკითხებია, არაა

საპროცესო საკითხები და უნდა შემოწმდეს ყველა სასამართლო ინსტანციაში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეს სააპელაციო პრეტენზიები უარყოფილ იქნა, სააპელაციო პალატას სააპელაციო საჩივარი არა გადაწყვეტილების გამოტანით, არამედ განჩინების მიღებით უნდა გადაეწყვიტა, რადგან ამ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში დარჩა; ხოლო სააპელაციო საჩივრის ფორმაში მითითებული დანარჩენი სხვა მოთხოვნები, შინაარსობრივად წარმოადგენდა კერძო საჩივარს, რამეთუ გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემაჯამებული გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული ნაწილი დასაბუთებული და ნაწილი – საოქმო განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნებიდან, რომლებიც ცალკე, დამოუკიდებლად, მისი მიღების პერიოდში, კერძო საჩივრით არ საჩივრდებოდა, მათზე არ დაიშვებოდა მიღებისთანავე კერძო საჩივარი და მათი მიღების დროს მათი კანონიერების შემოწმება ვერ მოხდებოდა ზემდგომ სასამართლოში და ისინი შემოწმებას კერძო საჩივართან ერთად დაექვემდებარებოდა, მხოლოდ იმ წესის მხედველობაში მიღებით, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება – მათზე არ უნდა განმარტებულიყო მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების დაშვების შესაძლებლობა ასევე საკასაციო წესით. შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ ამ განჩინებებზე მიღებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება რეალურად საბოლოოა, ამ მიმართებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება შეიცავს უსწორობას და უნდა გასწორდეს. შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ არასწორად იქნა განმარტებული ზემდგომ სასამართლო ინსტანციებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, მისი ამ ნაწილში კანონიერ ძალაში შესასვლელად არ გატარდა მართებული და სათანადო ღონისძიებები, რითაც მხარეს ეძლევა მისი გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს მისი უკანონოდ გასაჩივრების შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით აპელანტ მ. რ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის



2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. რ-ემ, რომელმაც შუამდგომლობაში მითითებული საფუძვლებით გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის მოცემულ საკითხზე შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, სააპელაციო საჩივრით დავის საგნად იყო ქცეული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 დეკემბრის შემაჯამებელი გადაწყვეტილება და ასევე ამ გადაწყვეტილების მიღებამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული სხვა წინმსწრები საპროცესო აქტები – დასაბუთებული და სხვა საოქმოდ განჩინებები. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო პრეტენზიის გარდა, სააპელაციო საჩივრის დანარჩენი სხვა მოთხოვნები გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული ნაწილი დასაბუთებული და ნაწილი – საოქმოდ განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნებიდან, რომლებიც ცალკე, დამოუკიდებლად, მისი მიღების პერიოდში კერძო საჩივრით არ საჩივრდებოდა, მათზე არ დაიშვებოდა მიღებისთანავე კერძო საჩივარი და მათი მიღების დროს კანონიერების შემოწმება ვერ მოხდებოდა ზემდგომ სასამართლოში. ამასთან, ისინი არ წარმოადგენდნენ სასარჩელო მოთხოვნებს. დასახელებული დასაბუთებული და სხვა საოქმოდ განჩინებებზე პრეტენზიების წარმოდგენა სააპელაციო საჩივართან ერთად, სააპელაციო საჩივრის ფორმატში, განპირობებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების წინმსწრები იმ სასამართლო აქტების – დასაბუთებული და სხვა საოქმოდ განჩინებების გასაჩივრება სააპელაციო პრეტენზიასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით, მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც კერძო საჩივართან დაკავშირებული წარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს მკაცრად უნდა გაიმიჯნოს პრეტენზიები არსებით მოთხოვნებზე – შემაჯამე-

ბელი, საბოლოო გადანყვეტილებაზე და პრეტენზიები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით წარდგენილ შემაჯამებელ გადანყვეტილებამდე წინმსწრებ სასამართლო აქტებზე, პროცედურულ საკითხებზე. რადიკალურად განსხვავდება სააპელაციო განხილვა სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული წარმოებისას და სააპელაციო საქმის წარმოება კერძო საჩივართან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობს ამ ნორმების დასაბუთებული შედარებიდან. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საკითხის იმგვარად დაყვანა, რომ წინმსწრებ განჩინებებზე პრეტენზიების შევსება ხორციელდება სააპელაციო საჩივრის ფორმაში, განჩინებებზე სააპელაციო წარმოება მიჩნეულ იქნეს სააპელაციო წარმოებად დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლოში ამგვარი სააპელაციო საჩივრის განხილვა-გადანყვეტილას სამართლებრივი შედეგი განსხვავებული უნდა იყოს ზემდგომ სასამართლოში – საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების კუთხით. საზოგადოდ, იმ სამართლებრივი აქტებით, რომლებიც საქმეს არსებითად არ წყვეტენ, არ დგინდება სასარჩელო მოთხოვნების შედეგი და არ გვევლინებიან მატერიალური ნორმებით დაცული უფლებების გადამწყვეტ სასამართლო აქტებად, კანონიერების თვალსაზრისით შემომნდებიან მარტოდენ ზედა ინსტანციის სასამართლოში და მასზე მიღებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. სააპელაციო საჩივარზე, რომელიც მოიცავს პრეტენზიას, როგორც საბოლოო გადანყვეტილებაზე, ასევე მის წინმსწრებ განჩინებებზე, რომლებიც ცალკე არ საჩივრდება, დაუშვებელია, რომ სააპელაციო პალატის შემაჯამებელი გადანყვეტილებით ერთიანად, ყველა პრეტენზიის შესახებ განიმარტოს, რომ ასეთ პრეტენზიებზე მიღებული სააპელაციო პალატის გადანყვეტილება საჩივრდება საკასაციო წესით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მ. რ-ის კერძო საჩივრის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დე-

ბულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოა, რა წესით უნდა განიხილოს ზემდგომმა სასამართლომ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად წინმსწრებ განჩინებაზე შეტანილი საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ამ ნორმით კანონმდებელმა სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგნად დაადგინა აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა, რითაც შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მოაქცია დასახელებული განჩინებების კანონიერების შემოწმება. ვინაიდან სააპელაციო პალატა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემაჯამებელ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად იხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებსაც, ამიტომ აღნიშნული განჩინებები ამ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობის საგანიც გახდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებშიც საკასაციო სასამართლოშიც.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ წინმსწრები განჩინების გასაჩივრების არსი არის იმის დადგენა, განხილულია თუ არა საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რაც გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწო-

რედ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენის ფარგლებში უნდა იმსჯელოს, საქმის განხილვის პროცესში ხომ არ ყოფილა რაიმე ისეთი დარღვევა, რაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესს, გადაწყვეტილების კანონიერებას ან დავის გადაწყვეტის შედეგს აყენებს ეჭვქვეშ. სწორედ ამ მიზეზით, გასაჩივრების შემთხვევაში, ამგვარი განჩინებები საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანიც უნდა გახდეს, რაც გამორიცხავს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ წინმსწრები განჩინებები კერძო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი წესით უნდა შეფასდეს, რაც გულისხმობს მათ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების საბოლოობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის I თავით დადგენილია საკითხის განხილვის სპეციალური წესი, რომელიც უშუალოდ კერძო საჩივარს შეეხება და, ამ შემთხვევაში, ანალოგიით გამოყენებული ვერ იქნება. კანონმდებლობით ამომწურავადაა დადგენილი, რა შემთხვევაში დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა. წინმსწრები განჩინების გასაჩივრებისას კანონმდებელი საქმის განხილვის რაიმე განსხვავებულ წესს არ ადგენს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლიდან გამომდინარე, შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად შეიძლება გასაჩივრდეს ის განჩინებაც, რომლის მიმართაც კერძო საჩივრის შეტანა დაიშვებოდა, მაგრამ ეს გარემოება არ გულისხმობს საქმის განხილვის წესის შეცვლას.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია, ჰიპოთეტურად მაინც, მხარის რა ინტერესი შეიძლება დაირღვეს, წინმსწრები განჩინების შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო საჩივრის ფარგლებში განხილვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი სწორად იყო განმარტებული და უსწორობის შესწორების საფუძველი არ არსებობდა, ამდენად, საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. რ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **წინმსწრები განჩინების გასაჩივრების წესი**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-783-775(კ-კს-15)

18 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 11 სექტემბერს ააიბ ... სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცული, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2014 წელს ჩატარებულ ყველა სხდომაზე ნაწარმოები აუდიო ჩანა-

წერების ასლების მოსარჩელისათვის გადაცემა.

საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხეთა წრე და მოპასუხედ მიეთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2011 წლის 14 ნოემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ.

მოსარჩელემ თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად მოითხოვა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების პერიოდში, კომისიის სხდომების შესახებ ნაწარმოები აუდიო ჩანაწერების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განადგურების კანონიერების შესწავლა. მოსარჩელემ 2014 წლის 25 ნოემბრის განცხადებით დააზუსტა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების პერიოდში, კომისიის სხდომების შესახებ ნაწარმოები აუდიო ჩანაწერების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განადგურების უკანონოდ აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ააიბ ... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ააიბ ..., რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. აპელანტმა ასევე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებით ააიბ ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2015 წლის 20 ივლისს სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ააიპ ..., რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებაში გასაჩივრების წესის განმარტებასთან დაკავშირებით დაშვებული უსწორობის გასწორება მოითხოვა.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, წარდგენილი სააპელაციო პრეტენზიის გარდა, სააპელაციო საჩივრის დანარჩენი სხვა მოთხოვნები გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული საოქმო განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნებიდან, რომლებიც ცალკე, დამოუკიდებლად, მისი მიღების პერიოდში კერძო საჩივრით არ საჩივრდებოდა, მასზე არ დაიშვებოდა მიღებისთანავე კერძო საჩივარი და მათი მიღების დროს კანონიერების შემოწმება ვერ მოხდებოდა ზემდგომ სასამართლოში. ამასთან, იგი არ წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნას. დასახელებულ საოქმო განჩინებაზე პრეტენზიების წარმოდგენა სააპელაციო საჩივართან ერთად, სააპელაციო საჩივრის ფორმატში, განპირობებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების წინმსწრები იმ სასამართლო აქტების გასაჩივრება სააპელაციო პრეტენზიასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით, მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც კერძო საჩივართან დაკავშირებული წარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს მკაცრად უნდა გაიმიჯნოს პრეტენზიები არსებით მოთხოვნებზე – შემაჯამებელ, საბოლოო გადაწყვეტილებაზე და პრეტენზიები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით წარდგენილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებამდე მიღებულ წინმსწრებ სასამართლო აქტებ-



ზე, პროცედურულ საკითხებზე. რადიკალურად განსხვავდება სააპელაციო განხილვა სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული წარმოებისას და სააპელაციო საქმის წარმოება კერძო საჩივართან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობს ამ ნორმების დასაბუთებული შედარებიდან. განსხვავებულია ზემდგომი სასამართლოს შემოწმების საპროცესო ფორმები შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე და წინმსწრებ განჩინებებზე. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით წარდგენილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებამდე წინმსწრებ სასამართლო აქტებზე ზემდგომ ინსტანციაში სასამართლო წარმოება ვერ იქნება მიჩნეული სააპელაციო საჩივრის წარმოებად.

განმცხადებლის მოსაზრებით, წინმსწრებ განჩინებაზე პრეტენზიების მოთავსება სააპელაციო საჩივრის ფორმაში და განჩინებებზე წარმოების მიჩნევა სააპელაციო წარმოებად, დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლოში ამგვარი სააპელაციო საჩივრის განხილვა-გადაწყვეტისას სამართლებრივი შედეგი განსხვავებული უნდა იყოს ზემდგომ სასამართლოში – საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების კუთხით. იმ სამართლებრივი აქტებით, რომლებიც საქმეს არსებითად არ წყვეტენ, მისით არ დგინდება სასარჩელო მოთხოვნების შედეგი და არ გვევლინებიან მატერიალური ნორმებით დაცული უფლებების გადამწყვეტ სასამართლო აქტებად, კანონიერების თვალსაზრისით შემოწმდებიან მარტოოდენ ზედა ინსტანციის სასამართლოში და მასზე მიღებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, თუნდაც კიდევ არსებობდეს სხვა ზემდგომი სასამართლო.

განმცხადებლის მოსაზრებით, დაუშვებელია, რომ სააპელაციო პალატის შემაჯამებელი გადაწყვეტილებით ერთიანად, ყველა პრეტენზიის შესახებ განიმარტოს, რომ ასეთ პრეტენზიებზე მიღებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საჩივრდება საკასაციო წესით. სააპელაციო საჩივრის ფორმაში მითითებული დანარჩენი სხვა მოთხოვნები, შინაარსობრივად წარმოადგენდა კერძო საჩივარს, რამეთუ გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნებიდან, რომლებიც ცალკე, დამოუკიდებლად, მისი მიღების პერიოდში, კერძო საჩივრით არ საჩივრდებოდა, მათზე არ დაიშვებოდა მიღებისთანავე კერძო საჩივარი და მათი მიღების დროს მათი კანონიერების შემოწმება ვერ მოხდებოდა ზემდგომ სასამართლოში და ისინი შემოწმებას სააპე-



ლაციო საჩივართან ერთად დაექვემდებარებოდა, მხოლოდ იმ წესის მხედველობაში მიღებით, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება – მათზე არ უნდა განმარტებულიყო მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების დაშვების შესაძლებლობა ასევე საკასაციო წესით.

შუამდგომლობის ავტორის მითითებით, სააპელაციო პალატის განჩინებით ისეა წარმოდგენილი მისი გასაჩივრების წესი, რომ ის ერთიანად ეხება მისით გადაწყვეტილ ყველა საკითხს. არაა გამიჯნული თუ, რომელ მათგანზე დაიშვება საკასაციო საჩივრის წარდგენა და რომელზე არა.

განმცხადებლის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინება შეიცავს უსწორობას და უნდა გასწორდეს.

განმცხადებლის განმარტებით, საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა 2015 წლის 30 ივნისის განჩინებით, ნაწილობრივ არასწორად იქნა განმარტებული ზემდგომ სასამართლო ინსტანციებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, მისი ამ ნაწილში კანონიერ ძალაში შესასვლელად არ გატარდა მართებული და სათანადო ღონისძიებები, რითაც მხარეს ეძლევა მისი გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს მისი უკანონოდ გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც სასამართლო შეცდომით უნდა აიხსნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით ააიპ ... განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით; სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ ააიპ... სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილე-

ბისა და სასარჩელო მოთხოვნის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმოდ განჩინების გაუქმებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებით, ააიპ ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმოდ განჩინება და მიუთითა, რომ არ არსებობდა მისი გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით განმარტა, რომ კანონმდებელმა, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგნად, პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, დაადგინა აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა და ამით შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მოაქცია დასახელებული განჩინებების კანონიერების შემოწმება. სააპელაციო სასამართლო, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემაჯამებელ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად იხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ წინმსწრებ განჩინებებსაც და ამ ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (რომელიც აგრეთვე შეიცავს სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს ზემოთ აღნიშნულ საოქმოდ განჩინებებზეც), კანონიერების საკითხი, გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრის შეტანა შესაძლებელია საპროცესო საკითხებთან დაკავშირებით გამოტანილ ცალკეულ განჩინებებზე, მათ შორის, საოქმოდ განჩინებებზეც, თუ მათი კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

ააიპ ... სააპელაციო საჩივრის საგანს ასევე წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საოქმოდ განჩინება სასარ-

ჩელო მოთხოვნების გაზრდაზე უარის თქმის შესახებ, რომლის ცალკე, კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და იგი საჩივრდება შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოების გამო, არ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტაცია, რომ საოქმო განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო პალატამ რეალურად განიხილა კერძო საჩივარი, რის გამოც, ამ ნაწილში, იგი დაუშვებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საკასაციო წესით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების წესიც სწორედ იმგვარად უნდა განიმარტოს, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 395-ე, 397-ე მუხლებით არის დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან ამკარა არითმეტიკული შეცდომები. სასამართლოს უფლება აქვს ეს საკითხი გადაწყვიტოს მხარეთა შეუტყობინებლად. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მხოლოდ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობებისა და ამკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო აღნიშნული მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას – შეასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომა, იყენებს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებაში დაშვებულია უსწორობა ან ამკარა არითმეტიკული შეცდომები. აღნიშნული ნორმით დადგენილი უფლება მოსილების გამოყენება დასაშვებია გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობების მიმართ, როდესაც ამგვარი შესწორება არ გამოიწვევს გადაწყვეტილების, მისი შინაარსის არსებითად შეცვლას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებაში ადგილი არ ჰქონია არც არითმეტიკულ შეცდომებს და არც სხვა

სახის მექანიკური ხასიათის უსწორობებს და რის გამოც არ არსებობს უსწორობის გასწორების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ააიპ ..., რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევით ნაწილობრივ არასწორად განმარტა სასამართლო აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ააიპ ..., რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე სააპელაციო სასამართლოს წინმსწრები განჩინებების, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებისა და 2015 წლის 10 ივნისის საოქმო განჩინებების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 იანვრის განჩინებებით ააიპ ... საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ასევე წარმოებაში იქნა მიღებული ააიპ ... კერძო საჩივარი და დადგინდა კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ააიპ ... კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივ-

რების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას მოსარჩელემ – ააიპ ... მიმართა საქალაქო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ააიპ ... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ააიპ ..., რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. აპელანტმა ასევე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებით ააიპ ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მითითებული განჩინებით აპელანტის მოთხოვნის ფარგლებში ასევე იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინების კანონიერებაზე და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მისი გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

2015 წლის 20 ივლისს სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ააიპ ..., რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებაში გასაჩივრების წესის განმარტებასთან დაკავშირებით დაშვებული უსწორობის გასწორება მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით მისი ავტორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინების გაუქმებას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორებას, რაც გამოიხატება აღნიშნული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობის არასწორ განმარტებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტები უსაფუძვლოა და მათი გაზიარების პროცესუალური საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განხილვისას იმსჯელა რა საქალაქო სასამართლოს წინმსწრები განჩინების კანონიერებაზე, უნდა განემარტა, რომ წინმსწრები განჩინების გაუქმების შესახებ აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი განჩინება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ შემაჯამებული აქტის გამოტანამდე მიღებული წინმსწრები განჩინებების კანონიერების გადამოწმება კერძო საჩივრისათვის განსაზღვრული სამართალწარმოების წესების დაცვით უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება, სასამართლოს უნდა განემარტა, რომ განჩინება წინმსწრები განჩინებების გადასინჯვის ნაწილში იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. ამგვარი განმარტების არარსებობის პირობებში კი, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იქმნება სასამართლო აქტის კანონიერებაში შესვლის დამაბრკოლებელი გარემოება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრება თითოეული საპროცესო მოქმედების შესრულების წესი, მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და სასამართლოს კომპეტენცია სამართალწარმოების პროცესში. ასევე განისაზღვრება ცალკეული საპროცესო მოქმედების გაპროტესტებასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელი საპროცესო მოქმედება შეუძლია სადავოდ გახადოს და საჩივრის რომელი ფორმით უნდა ისარგებლოს პროცესის მო-

ნაწილზე მხარემ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს თუ რომელი საპროცესო მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის ფორმით და ამ შემთხვევაში კანონის ანალოგიის გამოყენებას ადგილი ვერ ექნება. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა საპროცესო მოქმედების მნიშვნელობისა და დავის განხილვის პროცესზე ზემოქმედების თვალსაზრისით განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებების ჩამონათვალს, რომელთა გაპროტესტებაც დასაშვებია კერძო საჩივრით. იმ პროცედურულ საკითხებზე მიღებული სასამართლო აქტების გაპროტესტება კი, რომლებმაც არსებითი ზემოქმედება შესაძლოა ვერ მოახდინოს საქმის შედეგზე, ასევე პროცესის ეკონომიურობის გათვალისწინებითაც, კანონმდებლობა უშვებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში უკვე შემაჯამებელი სასამართლო აქტის მიღების შემდეგ გაპროტესტების შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რომელიც სახელმძღვანელო ნორმაა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებისათვის, როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო სასამართლოებისათვის, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა წინმსწრები განჩინებების გაპროტესტების უფლება მხარეს ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ასაჩივრებს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას (განჩინებას). მისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ წინმსწრები აქტის გასაჩივრების შესაძლებლობას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დასაბუთდება საჩივრის წარდგენის მიზანი – დარღვეული უფლების აღდგენა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ეთანხმება მის წინააღმდეგოდ გამოტანილ შემაჯამებელ სასამართლო აქტს, გაურკვეველია რა მიზნის მატარებელი შეიძლება იყოს წინმსწრები, პროცედურულ საკითხზე მიღებული შუალედური სასამართლო აქ-



ტის გასაჩივრება. ასეთი აქტის გაპროტესტების მიზანი შემაჯამებელ აქტთან ერთად შეიძლება იყოს ის მოლოდინი, რომ სასამართლომ პროცედურული საკითხების გადაწყვეტისას საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მხარისათვის საბოლოოდ არახელსაყრელი გადაწყვეტილება მიიღო.

წინმსწრები განჩინებების გადასინჯვა სწორედ სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის ფარგლებში ხდება, აქ არ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ აპელანტის თუ კასატორის პრეტენზია ტექნიკური თვალსაზრისით სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის ფორმაშია მოთავსებული. შემაჯამებელი აქტის კანონიერების შემოწმებისას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საგანი ხდება წინმსწრები განჩინებებიც, ანუ სასამართლო ერთობლივად ამოწმებს ქვედა ინსტანციის სასამართლო აქტების კანონიერებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე და 404-ე მუხლები არ შეიცავენ მითითებას წინმსწრები განჩინებების კანონიერების შემოწმების თაობაზე მიღებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლო აქტების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. თავად ნორმათა ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა წინმსწრები აქტები მხარემ შეიძლება სადავოდ გახადოს მხოლოდ ამ სასამართლოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი განჩინება არ შეიცავდა რა სპეციალურ მითითებას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლების არარსებობაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, აღნიშნული გავლენას მოახდენს სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი ადგენს გასაჩივრების ვადის ათვლის წესს. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესა-



ხებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილთან სასამართლო აქტის შეუსაბამობის შემთხვევაში, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სასამართლო აქტის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მოქმედება იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო აქტი ექვემდებარება გასაჩივრებას და სასამართლო აქტით მხარეს ან საერთოდ არ ეცნობა ამ უფლებების შესახებ, ან ეცნობა მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესის დარღვევით. სწორედ ასეთ შემთხვევაში სარგებლობს მხარე გასაჩივრების ერთწლიანი ვადით. ხოლო რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლო აქტი არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ასეთის მიუთითებლობის პირობებშიც კი ვერ იარსებებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის გამოყენების წინაპირობა. გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ სასამართლოს მიერ არასწორი განმარტება გასაჩივრების უფლებას ლეგიტიმურ ხასიათს ვერ შესძენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ ვითარებაშიც კი, რომ სააპელაციო სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინება მეტი სიზუსტისათვის არ შეიცავდა მითითებას წინმსწრები განჩინების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობაზე, აღნიშნული არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე და მით უფრო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უსწორობის გასწორების ან განჩინების საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პროცესუალური წინაპირობა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესოკოდექსის 419-ე, 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ააიპ ... კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. საპროცესო ვადები

### სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დამთავრება

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-795-779(კს-12)

22 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 18 აპრილს მ. გ-ემ სარჩელთ მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2012 წლის 6 მარტის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის წელთა ნამსახურობის დაანგარიშების და 1992 წლის 15 აგვისტოდან 1997 წლის 25 მარტამდე პერიოდის ჩათვლის საერთო ნამსახურობაში დავალეზა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2012 წლის 6 მარტის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ

ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის 14 დღიანი საპროცესო ვადის დაუცველობის გამო, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2012 წლის 17 სექტემბერს, მას სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის ვადა ეწურებოდა 2012 წლის 1 ოქტომბერს. ვინაიდან 2012 წლის 1 ოქტომბერი საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გამოცხადებული იქნა დასვენების დღედ, შესაბამისად, აპელანტს სააპელაციო საჩივარი სასამართლოში უნდა წარედგინა 2012 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეტანილი იქნა 2012 წლის 3 ოქტომბერს, გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით, რაც გახდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება იმ მოტივით, რომ მას არ დაურღვევია გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 14 დღიანი საპროცესო ვადა. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2012 წლის 2 ოქტომბერს კომპანია „...“ შეუკვეთა საფოსტო მომსახურება და შეადგინა შესაბამისი ტექსტი (ტელეგრამა) თბილისის საქალაქო სასამართლოს მისამართზე, სადაც მითითებული იყო გასაჩივრებული – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 აგვისტოს №3/1894-12 გადაწყვეტილება მ. გ-ის საქმეზე, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება ერთვის კერძო საჩივარს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემომწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე, 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილების ასლი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩაბარდა 2012 წლის 17 სექტემბერს. სააპელაციო საჩივარი კი შეტანილია კანონით გათვალისწინებული 14 დღიანი ვადის დარღვევით, 2012 წლის 3 ოქტომბერს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული შტამებით. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა იწურებოდა 2012 წლის 1 ოქტომბერს. საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით 1 ოქტომბერი გამოცხადებული იქნა დასვენების დღედ და შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეეძლო სააპელაციო საჩივარი შეეტანა სასამართლოში 2012 წლის 2 ოქტომბერს, რასაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემომწმებისას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა ეწურებოდა 2012 წლის 2 ოქტომბერს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2012 წლის 2 ოქტომბერს, კომპანია „...“ შეუკვეთა საფოსტო მომსახურება და შეადგინა შესაბამისი ტექსტი (ტელეგრამა) თბილისის საქალაქო სასამართლოს მისამართზე, სადაც მითითებული იყო, რომ სამინისტრო ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 აგვისტოს №3/1894-12 გადაწყვეტილებას მ. გ-ის საქმეზე. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მას და-

ცული აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადა, რის დასადასტურებლადაც, კერძო საჩივრის ავტორმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა შპს „...“ ქვითარი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ხელახლა უნდა შემოწმდეს, რადგან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულება, სააპელაციო სასამართლომ აპელაციის დასაშვებობის სტადიიდან უნდა გამოიკვლიოს მითითებული ფაქტობრივი გარემოება და ობიექტურად დაადგინოს დაცულია თუ არა აპელანტის მიერ კანონით დადგენილი საპროცესო ვადა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და გამოიკვლიოს, რომ შპს „...“ მეშვეობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება ნამდვილად 2012 წლის 2 ოქტომბერს, როგორც თავად კერძო საჩივრის ავტორი უთითებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქმეში წარმოდგენილი და სასამართლოს მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების გზით, სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გააკეთოს დასკვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა თუ არა სსსკ-ის 369.1 მუხლით დადგენილ 14-დღიან ვადაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, ამასთან, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს საქმეზე ახალი განჩინება, რადგან სსსკ-ის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გზავნილის წარმომადგენლისათვის ჩაბარებისას  
საპროცესო ვადის ათვლა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-752-736(კს-12)

4 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შ. რ-ის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

შ. რ-მა 2012 წლის 30 იანვარს სასარჩელო განცხადებით მი-

მართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვემო ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვემო ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 11 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 16 დეკემბრის №... ბრძანება, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვემო ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში განიხილოს მოსარჩელის განცხადება მის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის პრივატიზების შესახებ, განახორციელოს მოსარჩელის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის პრივატიზება და მის სახელზე და გასცეს მიწისა და სხვა უძრავის ქონების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. რ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინებით შ. რ-ის სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაში მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია საპროცესო ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება აპელანტ შ. რ-ის წარმომადგენელს თ. ნ-ეს ჩაბარდა 2012 წლის 27 ივლისს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შ. რ-ის მიერ ფოსტაში ჩაბარებული იქნა 2012 წლის 13 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2. მუხლის თანახმად, საა-



პელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა აპელანტიისათვის დაინწყებოდა 2012 წლის 28 ივლისიდან, ხოლო ამავე კოდექსის 61.3. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დასრულდებოდა 2012 წლის 10 აგვისტოს ოცდაოთხ საათზე. ამრიგად, სააპელაციო საჩივრის ავტორის მიერ გაშვებული იქნა სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა (თოთხმეტი დღე), რომელი ვადაც ზემოთ მითითებული ნორმის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, არის აღკვეთი ხასიათის და მისი გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. რ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ) გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მის წარმომადგენელს გზავნილი ჩაბარდა 2012 წლის 28 ივლისს და მას სააპელაციო საჩივარი წარდგენილი აქვს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის განმარტებული 14-დღიანი ვადის დაცვით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა შ. რ-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელა-

ციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლის გათვალისწინებულ სუბიექტს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლი ითვალისწინებს საპროცესო ვადის გასვლის შედეგებს, კერძოდ, ადგენს, რომ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება მოსარჩელე შ. რ-ის წარმომადგენლის თ. ნ-ის მეუღლეს მ. რ-ს ჩაჰბარდა 2012 წლის 27 ივლისს, რაც დასტურდება საქმეში არსებული ჩაბარების შესახებ დასტურით. შ. რ-ი ვალდებული იყო სასამართლოში ან საფოსტო განყოფილებაში სააპელაციო საჩივარი შეეტანა სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მეორე დღიდან (2012 წლის 28 ივლისიდან) 14 დღის ვადაში ანუ 10 აგვისტოს ჩათვლით, რომელიც იყო სამუშაო დღე – პარასკევი. განსახილველ შემთხვევაში შ. რ-ის მიერ საფოსტო განყოფილებაში სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა 2012 წლის 13 აგვისტოს, რაც დასტურდება საქმეში არსებული „კონვერტი“ ანუ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

საკაცაციო პალატა სრულად იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი-

დან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს გზავნილი (გადაწყვეტილების ასლი) მის წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2012 წლის 28 ივლისს, ვინაიდან საქმეში დაცული ჩაბარების შესახებ დასტურიდან ნათლად ირკვევა, რომ აღნიშნული გზავნილი შ. რ-ის წარმომადგენლის თ. ნ-ის მეუღლეს მ. რ-ს ჩაჰბარდა 2012 წლის 27 ივლისს, რაც დადასტურებულია მიმღების ხელმოწერით, ხოლო აღნიშნული გარემოების გამაბათილებელი მტკიცებულება კერძოდ ის, რომ გზავნილი ადრესატს ჩაჰბარდა 2012 წლის 28 ივლისს, როგორც ეს კერძო საჩივარშია აღნიშნული, შ. რ-ს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაცხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდებე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. რ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

420-ე მუხლით, 369-ე, 374-ე მუხლის პირველი ნაწილით, 63-ე, 70-ე, 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, 74-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. რ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასამართლო უწყების ჩაბარებისას სავროცესო ვადის ათვლა**

### **ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ბს-393-382(კს-13)

15 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 4 თებერვალს გ. ლ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 3 იანვრის №... გადაწყვეტილების, თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 14 აგვისტოს №... და 2012 წლის 29 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინებით გ. ლ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თეთრინყაროს რაიონულ სასამართლოს.

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით გ. ლ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მაისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა ხარვეზზე იმ მოტივით, რომ სააპელაციო საჩივარს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და სააპელაციო საჩივარზე ხელისმომწერი პირის სახელზე გაცემული მინდობილობა სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ივნისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის ვადაში შესრულებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიიდან შესამონმმებლად.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი. რომლის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კი სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გაמודის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ და მესამე პირებთან ურთიერთობაში. მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებში, სიმბოლიკა, მრგვალი ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის ფრაგმენტის გამოსახულებით და სააგენტოს დასახელებით, სხვა ბეჭედები, შტამპები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ჩხვიდის №2.

შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინება უნდა გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ჩხვიდის №2 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის და არა მხოლოდ საჯარო რეესტრის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულისათვის – ტერიტორიული საეგისტრაციო სამსახურისათვის.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლო ცალსახად ვალდებული იყო ხარვეზის განჩინება ჩაებარებინა უფლებამოსილი პირისათვის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის, ვინაიდან სასამართლომ ხარვეზი დაადგინა ორი საფუძველით: 1. სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისა და 2. სააპელაციო საჩივარზე ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. შესაბამისად, ორივე ხარვეზის აღმოფხვრა უნდა განეხორციელებინა უშუალოდ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რაც ვერ განახორციელა განჩინების ჩაუბარებლობის გამო. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ ეჭვქვეშ იქნა დაყენებული თავად ლ. ზ-ის უფლებამოსილება, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ხარვეზის განჩინება ჩაებარებინა უფლებამოსილი პირისათვის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2013 წლის 21 ივნისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე, 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 27 მაისის განჩინებით ხარვეზზე დატოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისა და სააპელაციო საჩივარზე ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. აღნიშნული განჩინება სასამართლოს მიერ გაიგზავნა მხოლოდ თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურში მისამართზე – ქ. თეთრინყარო, ლესელიძის ქ. №32 და ჩაბარდა 2013 წლის 4 ივნისს ორგანიზაციის წარმომადგენელს ლ. ზ-ეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ივნისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავში, 70-78-ე მუხლებში რეგლამენტირებულია სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესი, რომლის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო



ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით, ხოლო ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან მოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. სსსკ-ის 73.8 მუხლის შესაბამისად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის დასაბუთებას, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №... ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის თაობაზე განჩინება უნდა გაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ მისამართზე – ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ჩხეიძის №2 და არა საჯარო რეესტრის სტრუქტურული ერთეულისათვის – თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურისათვის მისამართზე – ქ. თეთრიწყარო, ლესელიძის ქ. №32 და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინება გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ ძირითად მისამართზე – ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ჩხეიძის №2 და მხო-



ლოდ გზავნილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში იყო სასამართლო უფლებამოსილი გაეგზავნა ალტერნატიულ მისამართზე და სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის დასაბუთებას, რომ იმ პირობებში, როდესაც ეჭვქვეშ იქნა დაყენებული ლ. ზ-ის უფლებამოსილება, სააპელაციო სასამართლო ცალსახად ვალდებული იყო ხარვეზის განჩინება ჩაეზარებინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის, რათა სააგენტოს უზრუნველყო სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის აღმოფხვრა და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73.8 მუხლის თანახმად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეჩნია ლ. ზ-ისათვის გზავნილის ჩაბარება ადრესატისათვის ჩაბარებად, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს სახელით კორესპოდენციის ჩაბარებაზე უფლებამოსილია კანცელარია ან ასეთი დანიშნულების სტრუქტურული ერთეული და სწორედ ასეთი სტრუქტურული ერთეულის არყოფნის შემთხვევაშია ორგანიზაციის სხვა უფლებამოსილი პირი ვალდებული ჩაიბაროს კორესპოდენცია.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ შემთხვევაში სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. საქმის მასალებით დგინდება, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელს ლ. ზ-ეს მინიჭებული აქვს ყველა უფლება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სპეციალური უფლებამოსილებისა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმომადგენლისათვის, რომელიც მარწმუნებლის მიერ სასამართლო აქტის გასაჩივრების კომპეტენციით არ არის აღჭურვილი, მისთვის ხარვეზის განჩინების ჩაბარების თარიღიდან

საპროცესო ვადის ათვლა არ შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ივნისის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ივნისის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის სასამართლოში წარდგენის და  
ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი  
ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ვადა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-336-326(კს-13)

25 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** სარჩელის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ც-ემ 2012 წლის 28 მაისს სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მიმართ. მოსარჩელემ სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 27 აპრილის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსათვის გაცემის დავალდებულება მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ც-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფროსის 2011 წლის 27

აპრილის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ა. ც-ის საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულება და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაასაჩივრა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მარტის განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება და დაუშვებლობის გამო ა. ც-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა: ოზურგეთის რაიონის გამგეობის 1997 წლის 27 მაისის №6832 დადგენილებით დამტკიცდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის №13 ოქმის გადაწყვეტილება – 10 წლის ვადით ი/მ ა. ც-ისათვის 10 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით მიმაგრების თაობაზე. ოზურგეთის მიწის მართვის რაიონულ სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გრძელვადიანი იჯარით მიმაგრების ხელშეკრულების გაფორმება დაევალა. 1997 წლის 12 აგვისტოს ი/მ ა. ც-ესა და ოზურგეთის რაიონის გამგეობას შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის №15 ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად, ი/მ ა. ც-ეს იჯარით ოზურგეთის რაიონში, ... ტერიტორიაზე მდებარე 4,5 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 10 წლის ვადით გადაეცა. ა. ც-ემ 2011 წლის 15 აპრილს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მიმართა განცხადებით. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ა. ც-ეს 1997 წლიდან ოზურგეთში, ... ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 10 წლის ვადით ჰქონდა იჯარით გადაცემული. მან 2007 წელს მიმართა ოზურგეთის რაიონის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურს, მიწის გამოსასყიდი თანხა გადაიხადა და მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია წარადგინა, მაგრამ აღნიშნულ საკითხზე

ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილება არ მიუღია.

2010 წელს ა. ც-ემ სასარჩელო განცხადება წარადგინა ოზურ-გეთის რაიონულ სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გურიის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მოიჯარე ა. ც-ის დოკუმენტაციის გაცნობა და მათი სისწორის შემთხვევაში მინისა და სხვა უძრავი ქონების დამადასტურებელი ოქმის გაცემა დაევალა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ა. ც-ემ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მინის ნაკვეთის შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა მოითხოვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 27 აპრილს №... წერილით (გადაწყვეტილებით) ა. ც-ეს იჯარით გაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. უარის თქმის საფუძვლად ადმინისტრაციულმა ორგანომ შემდეგ გარემოებებზე მიუთითა: ოზურგეთის რაიონის გამგეობის 1997 წლის 27 მაისის №6832 დადგენილება არ იყო ხელმოწერილი და დადასტურებული უფლებამოსილი პირის მიერ, ამასთან წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერები გაცემული იყო ა. ც-ის სახელზე, ხოლო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული იყო ი/მ ა. ც-ეზე. განცხადებაზე თანდართული გეგმა-ექსპლიკაცია არ იყო დამოწმებული შესაბამისი სამსახურის ბეჭდით, ასევე განხილვას არ ერთვოდა ი/მ ა. ც-ის სახელზე გაცემული ამონაწერი სამენარჩეო რეესტრიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 27 აპრილის №... წერილი (გადაწყვეტილება) ა. ც-ემ 2011 წლის 16 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაასაჩივრა. სამინისტროში საჩივარი 2011 წლის 21 ივნისს დარეგისტრირდა, ხოლო 2011 წლის 6 ივლისის №... ბრძანებით ა. ც-ის ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. საქმეში დაცული ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის თა-

ნახმად, 2011 წლის 25 ივლისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ა. ც-ის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენა ჩატარდა, სადაც მხარეთა წარმომადგენლების განმარტებები იქნა მოსმენილი. ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენა სხდომაზე ასევე დასტურდება სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამმართველო იურიდიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის 2013 წლის 15 მარტის მოხსენებითი ბარათით. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა განმარტებებისა და საქმის მასალების მიხედვით დადგინებულად მიიჩნია, რომ ა. ც-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზეპირი მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება მხარისათვის არ უცნობებია.

სააპელაციო სასამართლომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ერთი თვის ვადაში განუხილველობა და მხარისათვის შედეგის შეუტყობინებლობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად ითვლებოდა და კანონით დადგენილი წესით უნდა გასაჩივრებულიყო. შესაბამისად, ა. ც-ეს უფლება ჰქონდა მომდევნო ერთი თვის ვადაში სასამართლოსათვის სარჩელი წარედგინა. მან სასამართლოში 2012 წლის 28 მაისს, ე.ი. დაახლოებით 9 თვის შემდეგ აღძრა სარჩელი, რითაც გაუშვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი გასაჩივრების ვადა, რაც სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძველი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მარტის განჩინება კერძო საჩივრით ა. ც-ემ გაასაჩივრა. კერძო საჩივარის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ადგენს არა სარჩელის სასამართლოში წარდგენის, არამედ ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ვადას. კერძო საჩივრის ავტორი ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას თავად ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია აღნიშნული მუხლის მოთხოვნა და ზეპირი მოსმენა კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით ჩაატარა. რაც შეეხება სარჩელს, სასამართლოში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებუ-

ლი ვადის დაცვით იქნა წარდგენილი, რადგან, ა. ც-ემ სატელეფონო საუბრისას შეიტყო, რომ საჩივარზე წარმოება დასრულებული იყო, რის შემდეგაც კანონით დადგენილ ვადაში სარჩელი სასამართლოში წარადგინა. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხედველობაში უნდა მიეღო აღნიშნულ საკითხზე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მასალების გაცნობის შედეგად, დოკუმენტების სისწორის შემთხვევაში საკუთრების მონშობა გაეცა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ც-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სრულად იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ამ ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმა ადგენს არა სარჩელის სასამართლოში წარდგენის, არამედ ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ვადას.

ა. ც-ემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელ-



მნიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 27 აპრილის №... წერილი (გადაწყვეტილება) 2011 წლის 16 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაასაჩივრა. სამინისტროში საჩივარი 2011 წლის 21 ივნისს დარეგისტრირდა, ხოლო 2011 წლის 6 ივლისის №... ბრძანებით ა. ც-ის ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. საქმეში დაცული ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის თანახმად, 2011 წლის 25 ივლისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ა. ც-ის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდა, სადაც მოსმენილ იქნა მხარეთა წარმომადგენლების განმარტებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის დადგენილი ვადის დარღვევით ეცნობა სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ა. ც-ის ადმინისტრაციული საჩივარი, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი ზეპირი განხილვა იქნა ჩანიშნული. საქმეზე დადასტურებულია და საქმის მასალებით ირკვევა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა იქნა ჩატარებული. მხარისათვის გაურკვეველი დარჩა, დასრულდა თუ არა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, ვინაიდან მას ადმინისტრაციული ორგანოსგან, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წერილობითი ფორმით და ვადაში არ მიუღია. უფრო მეტიც, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, წარმოების დასრულებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მან შეიტყო მაშინ, როცა ადმინისტრაციულ ორგანოში დარეკა და ტელეფონით აცნობეს, რომ მისი ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხე-



ლახლა განსახილველად იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე და 420-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ც-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააკაღაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვისება  
კურიერის მიერ სამსახურბერივი სიყალბის ჩადენის  
შემთხვევაში**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-594-572(კს-13)

27 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა:

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სა-აპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ 2012 წლის 12 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-

ას მოპასუხის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ. მოსარჩელემ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით სს „...“ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორს – სს „...“ დაუდგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და განესაზღვრა 7 (შვიდი) დღის ვადა მის გამო-სასწორებლად. კერძოდ, სააპელაციო საჩივრის ავტორს უნდა დაესაბუთებინა უფლებამოსილი იყო თუ არა სს „...“ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია შპს „...“ მიმართ. სასამართლოში მხარეებს უნდა წარმოედგინათ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლითაც წარმომადგენელს ექნებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება ან უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივარი. ამასთან, აპელანტს განემარტა, რომ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინება აპელანტ სს „...“ თანამშრომელს – თ. ჯ-ს (მდივანი) 2013 წლის 3 აგვისტოს ჩაბარდა.

2013 წლის 14 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მიმართა სს „...“ წარმომადგენელმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა

7 (შვიდი) დღის ვადა. ამასთან აპელანტს განემარტა, რომ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით, სს „...“ ჩაბარდა 2013 წლის 3 აგვისტოს. კერძოდ, ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება ჩაბარდა სააპელაციო საჩივრის ავტორის თანამშრომელს – თ. ჯ-ს (მდივანი). ის გარემოება, რომ თ. ჯ-ი ნამდვილად არის სს „...“ თანამშრომელია, დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2013 წლის 24 სექტემბერს წარმოდგენილი სს „...“ გენერალური დირექტორის ზ. ბ-ის წერილით, რომელშიც აღნიშნულია, რომ თ. ჯ-ი 2010 წლის 20 აგვისტოდან დღემდე მუშაობს სს „...“ მდივან-რეფერენტის პოზიციაზე. 2013 წლის 14 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა სს „...“ წარმომადგენლის განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადის ათვლა დაიწყო 4 აგვისტოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის შესაბამისად, რადგან ბოლო, მეშვიდე დღე დაემთხვა უქმე დღეს – შაბათს, ვადის დამთავრების დღედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.2 მუხლის მიხედვით, უნდა ჩათვლილიყო მისი მომდევნო სამუშაო დღე – 2013 წლის 12 აგვისტო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სს „...“ წარმომადგენელმა განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე სასამართლოში 2013 წლის 14 აგვისტოს წარმოადგინა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ სს „...“ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ შეავსო განჩინებით დადგენილ 7-დღიან ვადაში. ამდენად, აპელანტის მიერ საპროცესო უფლება არ იქნა რეალიზებული სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ანუ მხარემ არ შეასრულა საპროცესო მოვალეობა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველი უნდა დარჩენილიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით სს „...“ გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინება სს „...“ ფაქტობრივად 2013 წლის 7 აგვისტოს ჩაბარდა. განჩინებაში მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი 2013 წლის 3 აგვისტო ემთხვევა შაბათ დღეს, როდესაც კომპანიაში რაიმე გზავნილის მიღება შეუძლებელია. ამასთან, კორესპონდენციის მიღება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირის – თ. ჯ-ის (მდივან-რეფერენტის) შრომითი ხელშეკრულების თანახმად, სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 5 სამუშაო დღით, ხოლო შაბათი და კვირა არის დასვენების დღე, ისევე როგორც სხვა თანამშრომლებისთვის. ამასთან, შპს „ს...“ 2013 წლის 1 ნოემბრის წერილის თანახმად, საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე პასუხისმგებელმა პირმა ჩაიღინა სამსახურებრივი გადაცდენა, კერძოდ ბონუსის მიღების მიზნით 2013 წლის 7 აგვისტოს სს „...“ ჩაბარებული კორესპონდენცია სამსახურებრივ პაკეტში ასახა როგორც 2013 წლის 3 აგვისტოს ჩაბარებული. ამდენად, სს „...“ ხარვეზის შესავსებად განცხადება წარდგენილი აქვს განჩინებით დადგენილი 7-დღიანი საპროცესო ვადის დაცვით 2013 წლის 14 აგვისტოს. შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევის ფაქტი და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...“ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 7 (შვიდი) დღის ვადა. ამასთან აპელანტს განემარტა, რომ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. საქმეში დაცული საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურის მიხედვით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინების ასლი სს „...“ 2013 წლის 3 აგვისტოს ჩაბარდა. კერძოდ, ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება სააპელაციო საჩივრის ავტორის თანამშრომელმა – თ. ჯ-მა (მდივანმა) ჩაიბარა. კერძო საჩივარზე დართული შპს „ს...“ 2013 წლის 1 ნოემბრის №1515-6510 წერილის თანახმად, შემომწმებით დადგინდა, რომ შპს „ს...“ კურიერმა ჩაიღინა სამსახურ-

რებრივი სიყალბე, რაც გამოიხატა მასში, რომ ბონუსის მიღების მიზნით 2013 წლის 7 აგვისტოს სს „...“ სახელზე ჩაბარებული კორესპონდენცია სამსახურებრივ პაკეტში გაატარა როგორც 2013 წლის 3 აგვისტოს ჩაბარებული. რეალურად დადგინდა, რომ კურიერმა სს „...“ თანამშრომელს – თ. ჯ-ს კორესპონდენცია 2013 წლის 7 აგვისტოს ჩააბარა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოსთვის გასაჩივრებული განჩინების მიღებისას ცნობილი არ იყო ის ფაქტი, რომ საქმეში დაცული კორესპონდენციის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი შეიცავდა არასწორ ინფორმაციას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინების ჩაბარების თაობაზე. იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ინფორმაციის უსწორობა დადგენილია სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ამასთან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინების ჩაბარების თარიღად კორესპონდენციის ჩამბარებული საფოსტო განყოფილება მიუთითებს 2013 წლის 7 აგვისტოს, სს „...“ მიერ 2013 წლის 14 აგვისტოს ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილი განცხადება მიჩნეულ უნდა იქნეს სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დადგენილ ვადაში წარდგენილად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის განხილვის დროისათვის დადასტურებულია ის ფაქტი, რომ აპელანტმა – სს „...“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მიმართა. შესაბამისად, სადღეისოდ აღარ არსებობს ხარვეზის გამოუსწორებლობის მიზეზით სს „...“ მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სს „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ა. ა-ს სს „...“ კერძო საჩივრისათვის 2013 წლის 1 ნოემბერს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

შეადგენს კერძო საჩივარზე – 50 ლარს. ამდენად, ა. ა-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სს „...“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინება; საქმე სს „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესაძომწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. ა. ა-ს (პირადი ნომერი: ...) დაუბრუნდეს მის მიერ სს „...“ კერძო საჩივრისათვის 2013 წლის 1 ნოემბერს ზედმეტად გადახდილი 100 ლარი (მიმღები – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის BIC კოდი: TRESGE22, მიმღების IBAN ანგარიშის №...);
4. საქმეზე სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება;

# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვისება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-732-718(კს-14)

24 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სა-  
აპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 2014 წლის 4 მარტს სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სა-  
მინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომ-  
ლითაც მოპასუხეების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით შპს  
„...“ სარჩელი დაკმაყოფილდა. გასაჩივრებულ ნაწილში ბათილად  
იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დე-  
პარტამენტის 2012 წლის 31 დეკემბრის №... ბრძანება, 2012  
წლის 31 დეკემბრის №... საგადასახადო მოთხოვნა, საჩივრის  
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში 2013 წლის 22 აპრი-  
ლის №... ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის  
დეპარტამენტის 2013 წლის 10 ივნისის №... ბრძანება, სსიპ შე-  
მოსავლების სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №... ბრძანე-  
ბა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული და-  
ვების განხილვის საბჭოს 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტი-  
ლება სადავო ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება სააპე-  
ლაციო წესით გასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს ჩაბარდა 2014 წლის 28 ივლისს, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2014 წლის 12 აგვისტოს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული ბეჭდით. ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2014 წლის 28 ივლისს, მისთვის გასაჩივრების ვადის ათვლა 2014 წლის 29 ივლისს დაიწყო და 2014 წლის 11 აგვისტოს 24:00 საათზე ამოიწურა. შესაბამისად, 2014 წლის 12 აგვისტოს შეტანილი სააპელაციო საჩივარი სასამართლომ მიიჩნია გასაჩივრების ვადის დარღვევით შეტანილ სააპელაციო საჩივრად, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 ივლისს ჩაბარდა, რომლის გასაჩივრების ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად 14 დღე იყო. აღნიშნული ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომდევნო დღიდან. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით ჰქონდა უფლება გაესაჩივრებია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნულ ფაქტს სადავოდ არ



ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოც. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო საჩივარი ... ფოსტას 2014 წლის 11 აგვისტოს, 16:49 საათზე ჩააბარა (გზავნილი №040013574879, გამგზავნის გზავნილის №08-01/57019). შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნობს საქმის მასალებს, შეამონმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივრისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარების დრო ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 ივლისს ჩაბარდა. ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონით დადგენილი 14-დღიანი გასაჩივრების ვადის დენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად 2014 წლის 29 ივლისს დაიწყო და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად 2014 წლის 11 აგვისტოს ოცდაოთხ საათზე ამოიწურა, რომელიც არ ემთხვეოდა უქმე და დასვენების დღეს და იყო სამუშაო დღე ორშაბათი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარზე დართულ კონვერტზე მითითებულია გზავნილის საფოსტო იდენტიფიკატორი – 040013574879, რომელიც შპს „ს...“ ვებგვერდის მეშვეობით საფოსტო გზავნილის გამგზავნის მიერ რეგისტრაციის თარიღის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის შემცველი კონვერტი – 040013574879 საფოსტო იდენტიფიკატორით ... ფოსტაში გამგზავნის მიერ დარეგისტრირდა 2014 წლის 11 აგვისტოს. აღნიშნული ასევე დასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარზე დართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 11 აგვისტოს №2229166 რეესტრით, რომელის 22-ე გრაფაში მითითებულია სააპელაციო საჩივრის შემცველი გზავნილის საფოსტო იდენტიფიკატორი – 040013574879. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივრის 2014 წლის 11 აგვისტოს წარდგენას ასევე ადასტურებს კერძო საჩივარზე დართული „უკუგზავნილი“, რომელითაც დგინდება, რომ საფოსტო იდენტიფიკატორით – 040013574879 გზავნილის გაგზავნის თარიღია 2014 წლის 11 აგვისტო, რომელიც 2014 წლის 12 აგვისტოს ჩაბარდა ადრესატს – თბილისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევა, რომ საქართვე-

ლოს ფინანსთა სამინისტროს არ გაუშვია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა მე-14 დღეს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მოთხოვნის დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება და მოცემული საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვისება

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-377-373(კს-14)

9 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა;

### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 19 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. ჯემ მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალება ან ფულადი თანხის დაკისრება ბინის საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე 32000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით გ. ჯემის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გ. ჯემმა გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის განჩინებით გ. ჯემის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლებით და მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით მხარეებს განემარტათ მისი გასაჩივრების ვადა. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინებით

დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება გ. ჯ-ემ 2014 წლის 3 აპრილს ჩაიბარა, რომელმაც სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2014 წლის 5 მაისს. მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, მე-60 და 61-ე მუხლებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ადრესატს ჩაბარდა 2014 წლის 3 აპრილს, გასაჩივრების ვადა დაიწყო 2014 წლის 4 აპრილს, რომელიც დასრულდა 2014 წლის 17 აპრილს, 24 საათზე, ხოლო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე, გ. ჯ-ის მიერ შეტანილ იქნა 2015 წლის 5 მაისს. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება ან აღდგენა კანონით გათვალისწინებული არ არის, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე დატოვებული უნდა ყოფილიყო განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ჯ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება მოითხოვა. კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ გ. ჯ-ემ სრულად დაიცვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, გზავნილზე მექანიკური შეცდომა განხორციელებულია ფოსტის თანამშრომლის მიერ, ხოლო მის მიერ წარდგენილი საფოსტო გზავნილი დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ მან გადაწყვეტილება ჩაიბარა არა 2014 წლის 3 აპრილს, არამედ მოგვიანებით, საიდანაც უნდა განხორციელდეს გასაჩივრების ვადის ათვლა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჯ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-

წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეს-გ. ჯ-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება გაეგზავნა 2014 წლის 2 აპრილს, მისამართზე- ოზურგეთის რაიონი, სოფ. .... საქმეში წარმოდგენილი შპს „...-ს“ შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ და მიიღო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება, არ იკითხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღი, ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა შპს „...-ს“ შეტყობინების ბარათი გზავნილის ჩაბარების შესახებ, რომლითაც უტყუარად დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემცველი საფოსტო გზავნილი გ. ჯ-ეს 2014 წლის 23 აპრილს აქვს ჩაბარებული, გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 2 მაისს გაგზავნილი სასამართლო აქტის მეორე დღეს – 3 მაისს ოზურგეთის რაიონი, სოფ. ცხემლის ხიდში ჩაბარების გონივრულ შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გ. ჯ-ისათვის გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2014 წლის 24 აპრილს და შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა დასრულდეს 2014 წლის 7 მაისს ოცდაოთხ საათამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „...-ს“ შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ (200005937) დასტურდება, რომ გ. ჯ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის შესაბამისად და 369.1 მუხლის გათვალისწინებით 14-დღიან ვადაში – 2014 წლის 5 მაისს ჩააბარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანცელარიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი უნდა ჩაითვალოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილ ვადაში შეტანილად, რადგან არ იკვეთება სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის მოტივით გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რის გამოც გ. ჯ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო პალატის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის განჩინება და საქმე გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. ჯ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის განჩინება; საქმე გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება;

## საპროცესო ვადის დამთავრება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-776-762(კს-14)

19 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სა-  
აპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჯ-მა 2014 წლის 24 აპრილს სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის  
მიმართ, რომლითაც მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო  
რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 ივნისის №...  
გადაწყვეტილება; ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის  
ეროვნული სააგენტოს თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსა-  
ხურის 2014 წლის 4 აპრილის №... გადაწყვეტილება; ბათილად  
იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014  
წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილება; ბათილად იქნეს ცნობი-  
ლი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 16 ივ-  
ლისის №... გადაწყვეტილება; ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო  
რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის №... გადაწყვე-  
ტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2014 წლის 5 მაისის განჩინებით მ. ჯ-ის სარჩე-  
ლი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯა-  
დობით განსახილველად გადაეგზავნა თეთრინყაროს რაიონულ  
სასამართლოს.

მ. ჯ-მა 2014 წლის 13 ივნისს სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს თეთრინყაროს სარეგისტრაციო სამსახურის



მიმართ, რომლითაც მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილება და 2012 წლის 18 ივნისის №... გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის განჩინებით მ. ჯ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა ნ. ნ-ე.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით მ. ჯ-ის წარმომადგენლის ნ. კ-ის შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შესახებ დაკმაყოფილდა; ერთ წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციული საქმე №3/8-14 მ. ჯ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირი ნ. ნ-ე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე და ადმინისტრაციული საქმე №3/17-14 მ. ჯ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ 2012 წლის 18 ივნისის №... გადაწყვეტილების და 2014 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 16.07.12წ №... გადაწყვეტილება, ნ. ნ-ის სახელზე 700კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ნაწილში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 18.06.12წ №... გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 16.05.14წ №... გადაწყვეტილება. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; მ. ჯ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 04.04.14წ. №... გადაწყვეტილებისა და სსიპ საჯარო რე-

ესტრის ეროვნული სააგენტოს 16.05.14წ №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2014 წლის 19 ოქტომბერს, ხოლო ნ. ნ-ემ სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტაში ჩააბარა 2014 წლის 4 ნოემბერს, რაც დასტურდება საფოსტო კონვერტზე დასმული ბეჭდით. ვინაიდან ნ. ნ-ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2014 წლის 19 ოქტომბერს, მას სააპელაციო საჩივრის წარდგენა სასამართლოში შეეძლო 2014 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რადგან გასაჩივრების ვადის 14 დღიანი საპროცესო ვადის ბოლო, მე-14 დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს (კვირა), სააპელაციო საჩივრის წარდგენა აპელანტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შეეძლო, 2014 წლის 3 ნოემბრის (ორშაბათი) 24 საათამდე. ამდენად სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 4 ნოემბერს საქართველოს ფოსტაში ჩაბარებული სააპელაციო საჩივარი მიიჩნია ვადის დარღვევით შეტანილ სააპელაციო საჩივრად, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ნ-ემ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება ნ. ნ-ეს 2014 წლის 19 ოქტომბერს ჩაბარდა, რომლის გასაჩივრება მხარეს შეეძლო 2014 წლის 3 ნოემბრის 24 საათამდე.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით ნ. ნ-ემ სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტას 2014 წლის 3 ნოემბერს ჩააბარა, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით და შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მას არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ნ. ნ-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარების დრო ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავ კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადანყვეტილება ნ. ნ-ის შვილს ზ. ნ-ს 2014 წლის 19 ოქტომბერს ჩაჰბარდა. ამდენად, ნ. ნ-ისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების კანონით დადგენილი 14-დღიანი გასაჩივრების ვადის დენა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად 2014 წლის 20 ოქტომბერს დაიწყო და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შე-საბამისად 2014 წლის 2 ნოემბრის ოცდაოთხ საათზე ამოიწურა, რომელიც ემთხვეოდა უქმე და დასვენების დღეს (კვირა), რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის წარ-დგენის ვადამ გადაინია მომდევნო პირველივე სამუშაო დღეზე ანუ მას შეეძლო სააპელაციო საჩივარი წარედგინა 2014 წლის 3 ნოემბერს (ორშაბათი). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარზე დართულ კონვერტზე მითითე-ბულია გზავნილის საფოსტო იდენტიფიკატორი – ..., რომელიც შპს „...“ ვებგვერდის მეშვეობით საფოსტო გზავნილის გამგზავ-ნის მიერ რეგისტრაციის თარიღის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მი-იჩნევს, რომ ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივრის შემცველი კონვერ-ტი – ... საფოსტო იდენტიფიკატორით საქართველოს ფოსტაში გამგზავნის მიერ დარეგისტრირდა 2014 წლის 3 ნოემბერს. აღ-ნიშნული ასევე დასტურდება ნ. ნ-ის კერძო საჩივარზე დართუ-ლი საქართველოს ფოსტის 2014 წლის 3 ნოემბრის №... რეეს-ტრით, რომლის გრაფაში მითითებულია სააპელაციო საჩივრის შემცველი გზავნილის საფოსტო იდენტიფიკატორი – ... . ნ. ნ-ის მიერ სააპელაციო საჩივრის 2014 წლის 3 ნოემბერს წარდგენას ასევე ადასტურებს კერძო საჩივარზე დართული „უკუგზავნი-ლი“, რომელითაც დგინდება, რომ საფოსტო იდენტიფიკატო-რით – ... გზავნილის გაგზავნის თარიღია 2014 წლის 3 ნოემბერი, რომელიც 2014 წლის 5 ნოემბერს ჩაჰბარდა ადრესატს – თეთ-რინყაროს რაიონულ სასამართლოს. ასევე კერძო საჩივრის ავ-ტორის მიერ წარმოდგენილია სალარო აპარატის ქვითარი, რომ-ლითაც დასტურდება, რომ მან გზავნილის საფასური საქართვე-ლოს ფოსტაში გადაიხადა 2014 წლის 3 ნოემბერს, 16:35 საათ-ზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლა-დაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანას-კნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ეს არ გაუშვია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა, ვინა-იდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60

და 61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა მე-14 დღეს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მოთხოვნის დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ნ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შეამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ნ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინება და მოცემული საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შეამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-223-219(კს-15)

9 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 25 აპრილს მ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 27 მარტის №... ბრძანების, საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის სახელზე 2010 წლის 9 დეკემბრის №... და 2012 წლის 7 თებერვლის №... და №... მიმართვების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 3 სექტემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მესამე პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 27 მარტის №... ბრძანება, მ. გ-ისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 9 დეკემბრის №... მიმართვის ნაწილობრივ (29.59 კვ.მ ნაწილში) ბათილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სა-

ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 9 დეკემბრის №... მიმართვა ქ. თბილისი, ... ქუჩა №8-ში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის შესახებ 29.59 კვ.მ ნაწილში; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადანაცვების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადანაცვების სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-ემ, რომელმაც საქალაქო სასამართლოს გადანაცვების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომლებმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადანაცვების გაუქმება და ახალი გადანაცვებით მ. გ-ესთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადანაცვლებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადანაცვლების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანაცვლების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანაცვლების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვა-

დის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ დღის მოგ-  
ლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრუ-  
ლია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწი-  
ლის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და  
დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი  
მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ხოლო მე-3 ნაწილის თანახ-  
მად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დად-  
გენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის  
ოცდაოთხ საათამდე.

საქმის მასალებით სააპელაციო სასამართლომ უდავოდ და-  
დასტურებულად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დე-  
კემბრის გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით  
გაეგზავნა მ. გ-ეს და მის წარმომადგენელს. ამასთან, სააპელა-  
ციო სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილით დად-  
გენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18  
დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი მ. გ-ეს ჩაჰპარდა 2014 წლის  
31 დეკემბერს, ხოლო მის წარმომადგენელს 2015 წლის 6 იან-  
ვარს. სასამართლომ მიუთითა, რომ შეტყობინების დასტურზე  
გზავნილის მიმღები პირის სახელი და გვარი მითითებულია რო-  
გორც გარკვევით, ასევე შტრიხული სახით; გარკვევითაა მითი-  
თებული გზავნილის ჩაბარების თარიღი და ჩამბარებული პირის  
პირადი ნომერი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწი-  
ლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო  
უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპ-  
როცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხა-  
რისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩა-  
ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის  
74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარე-  
ბის განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არ-  
სებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული  
წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შე-  
სახებ აცნობოს მხარეს.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ადრესატს ჩაჰპარდა სა-  
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის  
შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბერს, გასაჩივრების ვადა და-  
იწყო 2015 წლის 1 იანვარს, რომელიც დასრულდა 2015 წლის 14



იანვარს, 24 საათზე. ხოლო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, მ. გ-ემ შეიტანა 2015 წლის 30 იანვარს. აპელანტის მიერ გაშვებულია სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, რის გამოც მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებული უნდა იქნეს განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის მ. გ-ის შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე მსჯელობის დავალება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც ჩაჰბარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სადმინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები, მაშინ გადაწყვიტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის შესაბამისად, შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა. ამასთანავე, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული სააპელაციო საჩივრების (გზავნილის) ჩაბარების თარიღიდან 10 დღის ვადაში შეგებებული სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის ფაქტი და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დაცულობის ფაქტი. ამასთანავე კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა არა სააპელაციო საჩივარი 14-დღიანი გასაჩივრების ვადის პირობებში, არამედ შეგებებული სააპელაციო საჩივარი 10-დღიანი ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც ჩაჰბარდა გზავნილი. ამასთანავე სააპელაციოს საჩივარზე აღნიშნული იყო, რომ საჩივარი იყო შეგებებული, თუმცა სასამართლომ არ იმსჯელა წარმოდგენილ საჩივარზე, როგორც შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის განჩინებით მ. გ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმა-

ყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სააპელაციო საჩივრის ვადის დარღვევით წარდგენის თაობაზე, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის საფუძველზე და მხარე სწორედ ამ მუხლის საფუძველზე ითხოვდა სააპელაციო საჩივრის განხილვას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, მონინალმდეგე მხარეს უფლება აქვს სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრის ასლები ჩაბარდა 2015 წლის 24 იანვარს, შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყო 2015 წლის 25 იანვარს, რომელიც დასრულდა 2015 წლის 3 თებერვალს, 24 საათზე. ხოლო შეგებებული სააპელაციო საჩი-

ვარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, მ. გ-ემ შეიტანა 2015 წლის 30 იანვარს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაცულობის და საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, არამედ 379-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ვადის გაცდენის მოტივით მ. გ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება, რამდენადაც სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველები, რის გამოც საქმე ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება;
3. საქმე შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# საკროცესო ვადის დენის დაწყების მომენტი

## ბანკინება საქართველოს სახელით

№ბს-348-344(კს-15)

24 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

### აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ც-ემ 29.08.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 11.03.2014წ. №... და 11.07.2014წ. №... ბრძანებების ბათილად ცნობა, ასევე სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის და ადვოკატის მომსახურებისათვის განუყოფი ხარჯის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.2014წ. გადაწყვეტილებით ბ.ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 11.03.2014წ. №... ბრძანება ბ.ც-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 11.07.2014წ. №... ბრძანება ბ.ც-ის საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან დათხოვნის შესახებ, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დაევალა ბ.ც-ის ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და არაუმეტეს 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა, აგრეთვე დაეკისრა ბ.ც-ისათვის ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.04.2015წ. განჩინებით საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 369-ე, 374-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.2014წ. გადაწყვეტილების ასლის საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის გაგზავნის და საქმეში მითითებულ მისამართზე 11.03.2015წ. ჩაბარების ფაქტი. სსკ-ის 61-ე, 63-ე, 73-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების ასლი მას ჩაბარდა 11.03.2015წ., ხოლო სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენა მოხდა 26.03.2015წ., რაც დასტურდება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მარეგისტრირებელი უწყების სარეგისტრაციო შტამპზე და კონვერტზე არსებული თარიღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.04.2015წ. განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.12.2014წ. გადაწყვეტილება ორგანოს ჩაჰბარდა 12.03.2015წ. და არა 11.03.2015წ.. აღნიშნული დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.12.2014წ. გადაწყვეტილების ასლის პირველ გვერდზე დატანილი შტამპით და შესაბამისი ელექტრონული მიმონერის სისტემაში ატვირთვის თარიღით. შესაბამისად, სსკ-ის მე-60 მუხლის საფუძველზე, გასაჩივრების ვადა იწყებოდა 2015 წლის 13 მარტიდან. ამდენად, სააპელაციო საჩივარი კანონით განსაზღვრულ ვადაში იქნა შეტანილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.2014წ. გადაწყვეტილება ხ. ც-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გაეგზავნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციას საქმეში მითითებულ მისამართზე. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე ხელმოწერასთან

ერთად განთავსებულია საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ბეჭედი და ჩაბარების თარიღად მითითებულია: 11.03.2015წ. უფლებამოსილი პირის მიერ გზავნილის ჩაბარებას არც კერძო საჩივრის ავტორი უარყოფს, თუმცა აღნიშნავს, რომ სასამართლოდან გაგზავნილი კორესპონდენცია მას ჩაჰბარდა არა 11.03.2015წ., არამედ 12.03.2015წ., რის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს სასამართლოს გზავნილის ასლი კორესპონდენციებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაციის განყოფილების შტამპით, რომელზეც კორესპონდენციის შემოსვლის თარიღად მითითებულია: 12.03.2015წ..

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო გზავნილის მხარისთვის ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე და უბრუნდება სასამართლოს (სსკ-ის 73.5 მუხ.). სწორედ აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება გზავნილის მხარისათვის ჩაბარება და შესაბამისად, ამავე დოკუმენტით ხელმძღვანელობს სასამართლო მხარისათვის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების ათვლისას. განსახილველ შემთხვევაში გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად მითითებულია 11.03.2015წ., გზავნილზე დასმულია საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ბეჭედი, უფლებამოსილი პირისა და შპს „...“ კურიერის ხელმოწერა. საქმეში არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული შეტყობინების ბარათის არასაწმენობას. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი საქართველოს სასაზღვრო პოლიციას ჩაბარდა 11.03.2015წ.. ამასთანავე, აღნიშნული გადაწყვეტილებით, სსკ-ის 369.1 მუხლის საფუძველზე მხარეებს განემარტათ, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო წესით შესაძლებელი იყო მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში.

სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სსკ-ის 60.2 მუხლის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის

დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.2014წ. გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 11.03.2015წ., სააპელაციო საჩივარი კი შემოტანილია 26.03.2015წ., რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე განთავსებულ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კორესპონდენციებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაციის განყოფილების შტამპზე, ასევე სააპელაციო საჩივრის კონვერტზე მითითებული თარიღით – 26.03.2015წ. აღნიშნულ თარიღში სააპელაციო საჩივრის შეტანას ადასტურებს აგრეთვე კერძო საჩივრის ავტორი წარმოდგენილ კერძო საჩივარში. ამდენად, სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა კანონით განსაზღვრული 14-დღიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.04.2015წ. განჩინების გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.04.2015წ. განჩინება;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ  
გავრცელებისას განსაჩივრების ვადის ათვლა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-632-625(კს-15)

10 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ფულადი კომპენსაციის გაცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. კ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ფულადი კომპენსაციის – 50 000 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ა. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა ა. კ-ის სასარგებლოდ ერთიანი ფულადი კომპენსაციის – 310 ლარის გაცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ა. კ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინებით ა. კ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ა. კ-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების ასლი ორჯერ გაეგზავნა – 2014 წლის 29 ოქტომბერს და 2015 წლის 16 იანვარს სარჩელში მის მიერ მითითებულ მისამართზე, თბილისი, ... 6 და არ ჩაჰბარდა. ჩაბარების დასტურებზე კურიერს აქვს მინაწერი „მოც. მისამართზე მეზობელ ზ-ის თქმით ადრესატი მოსკოვშია, სახლი დაკეტილია, არავინ ცხოვრობს“; „მოც. მისამართზე სახლში არავინ იყო, სამეზობლოს თქმით ადრესატი საზღვარგარეთ იმყოფება. საქ-



მეში წარმოდგენილი რწმუნებით ა. კ-ის წარმომადგენლად თ. ქ-ეს მოსარჩელის სასამართლოში წარმოდგენის უფლებამოსილება ამოწურა 2014 წლის 3 დეკემბერს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მარტის განჩინების საჯაროდ გავრცელებით მოსარჩელე ა. კ-ეს ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №3/4791-13), რაც განთავსდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და ვებგვერდზე.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ჩაბარებულად 2015 წლის 13 მარტიდან მიიჩნია და აღნიშნა, რომ ა. კ-ეს სააპელაციო საჩივრის წარდგენა შეეძლო 2015 წლის 27 მარტის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. კ-ემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მხარის მითითებით, მის მიერ გაცემულ მინდობილობას 2014 წლის 3 დეკემბრამდე ჰქონდა ვადა და სასამართლოს შეეძლო, მისი წარმომადგენლებისათვის გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი. გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 თვის განმავლობაში სასამართლოს არ გაუგზავნია ასლი ა. კ-ისათვის. საქმეში ასევე არის ა. კ-ის რუსეთის მისამართი, სადაც სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილების გაგზავნა. მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოს არც ერთ სხდომაზე დაბარებული არ ყოფილა. სასამართლომ თვითონ დაარღვია საქმის განხილვის ვადები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ა. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასა-

ციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მისი წარმომადგენლებისათვის უნდა გაეგზავნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გაგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილებას უგზავნის ან მხარეს ან მის წარმომადგენელს, ამასთან, თავად ირჩევს, რომელ მათგანს გაუგზავნოს, რომელი საშუალების გამოყენებით და სასამართლოსათვის ცნობილ რომელ მისამართზე გაგზავნოს გზავნილი.

განსახილველ შემთხვევაში, ა. კ-ეს გადაწყვეტილების ასლი ორჯერ გაეგზავნა მის მიერ სარჩელში მითითებულ ერთადერთ მისამართზე და ვერ ჩაჰბარდა, ვინაიდან ადრესატი საქართველოში არ იმყოფებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უნ-

ყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის, „მისამართის შეცვლა“ გულისხმობს როგორც საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას, ისე ფაქტობრივი ადგილსამყოფლის დროებით შეცვლას, მაგალითად, ქვეყნიდან დროებით გამგზავრებას.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ა. კ-ემ სასამართლოს მისამართის შეცვლის თაობაზე აცნობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მარტის განჩინებით ა. კ-ეს საჯარო შეტყობინების გავრცელების გზით ეცნობა ამავე სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების შესახებ. განჩინება თვალსაჩინოდ გამოქვეყნდა და ვებგვერდზე განთავსდა 2015 წლის 6 მარტს, შესაბამისად, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად 2015 წლის 13 მარტიდან უნდა იქნეს მიჩნეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების

ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა 14 მარტიდან დაიწყო და 27 მარტს ამოიწურა. სააპელაციო საჩივარი კი, 22 ივნისსაა შეტანილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარევიზიო შვესაპისათვის დადგენილი ვადის ათვისება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-398-393(კს-16)

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-ემ 14.01.2014წ. სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის და რ. ა-ის მიმართ. მ. ნ-ემ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა: ქ. ქობულეთში, ... .. შესახვევის №11-ში (ყოფილი ... ქუჩა, №11) მდებარე, 226 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე რ. ა-ის მფლობელობის უფლების შეწყვეტილად აღიარება, აღნიშნულ ფართზე მ. ნ-ის მფლობელობისა და სარგებლობის უფლების დადგენა, ტექნიკურს არქივში დაცულ, ტექნიკური აღრიცხვის ბარათში რ. ა-ის მიერ 226 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე არსებული თვითნებურად დაკავების შესახებ ჩანაწერის 2005 წლიდან ძალადაკარგულად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 02.12.2015 წ. განჩინებით მ. ნ-ის სარჩელი ქ. ქობულეთში, ... .. შესახვევის №11-ში (ყოფილი... ქუჩა, №11) მდებარე 226 კვ.მ. ფართის უძრავ ნივთზე რ. ა-ის მფლობელობის უფლების შეწყვეტილად აღიარებისა და ამ უძრავ ნივთზე მ. ნ-ის მფლობელობისა და სარგებლობის უფლების დადგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში, დატოვებულ იქნა განუხილველად, მ. ნ-ის მიერ ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის გამოხმობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 25.12.2015 წ. გადაწყვეტილებით მ. ნ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და რ. ა-ის მიმართ ტექნიკური აღრიცხვის ბარათის ჩანაწერის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, არ დაკმაყოფილდა, რაზეც მ.

ნ-ის წარმომადგენლის დ. ხ-ის მიერ წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც აპელანტმა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.03.2016 წ. განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10-დღიანი ვადა. ამასთან, მ. ნ-ეს განემარტა, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, კერძოდ: არ წარმოადგენდა დ. ხ-ის მიერ სააპელაციო საჩივრის სასამართლოში შეტანის უფლებამოსილების დამადასტურებელ მტკიცებულებას (განახლებულ მინდობილობას) ან თავად მ. ნ-ის მიერ ხელმოწერილ სააპელაციო საჩივარს, ასევე სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანს (საგადასახადო დავალებას, სალაროს შემოსავლის ორდერს, ქვითარს ან სხვა დოკუმენტს, რომელიც დაადასტურებდა გადახდის ფაქტს), სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ხარვეზის დადგენის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება 02.03.2016წ. გაეგზავნა მ. ნ-ის მისამართზე: ქობულეთი, ... ქ. №11.

შპს „...“ მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი უკუგზავნილის მიხედვით ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება მითანილ იქნა მისამართზე: ქობულეთი, ... ქ. №11 და ჩაჰბარდა მ. ნ-ეს (პ.ნ....). უკუგზავნილს ხელს აწერს კორესპონდენციის ადრესატი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.2016წ. განჩინებით მ. ნ-ის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 25.12.2015 წ. გადანყვეტილებაზე დატოვილ იქნა განუხილველად დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა მ. ნ-ის წარმომადგენლის დ. ხ-ის მიერ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ხარვეზის შესახებ სააპელაციო პალატის განჩინება არც მ. ნ-ეს და არც მის წარმომადგენელს არ ჩაბარებია, შესაბამისად ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის ათვლა არ უნდა დაწყებულიყო და სააპელაციო საჩივარი არ უნდა დარჩენილიყო განუხილველად. მ. ნ-ეს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად ესპობა გასაჩივრების უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სასამართლის ნორმების დაცვით, სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის დაცვით მოხდა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების გაგზავნა და შესაბამისად, ხარვეზის ვადაში გამოუსწორებლობის საფუძველით გასაჩივრებული განჩინების გამოტანა.

სასკ-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სასამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილია სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესი, რომელიც ასევე გამოიყენება სასამართლო აქტის მხარისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებით.

სსკ-ის 71-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.03.2016წ. განჩინება მ.ნ-ეს გაეგზავნა მოსარჩელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებულ ძირითად მისამართზე – ქობულეთი, ... ქ. №11. საქმეში დაცული შპს „...“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი კორექსპონდენციის ჩაბარების შესახებ უკუგზავნილით დგინდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება მ. ნ-ეს ჩაჰბარდა პირადად. აღნიშნულს ადასტურებს უკუგზავნილზე მ. ნ-ის პირადი ნომრის მითითება და მისი ხელმოწერა, რომლის ნამდვილობა სადავო არ გამხდარა. კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება არც მ. ნ-ეს და არც მის წარმომადგენელს არ ჩაბარებია, თუმცა, სსკ-ის მე-4, 102-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ვერ ადასტურებს საქმეში და-

ცული ჩაბარების დასტურის უარყოფის საფუძველზე.

სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. განსახილველ შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.03.2016 წ. განჩინებით მ. ნ-ეს დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10-დღიანი ვადა განჩინების ასლის მისთვის ჩაბარებიდან. საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება მ. ნ-ეს პირადად ჩაჰბარდა 10.03.2016წ., თუმცა მას ხარვეზის შევსებისათვის დადგენილ საპროცესო ვადაში არ მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსათვის.

სსკ-ის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის დადგენილ საპროცესო ვადაში შეუვსებლობის გამო, სააპელაციო პალატას გააჩნდა მ. ნ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ.ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.04.2016წ. განჩინება მ. ნ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 372-ე, 399-ე, 414-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.2016წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-760-752(კს-15)

29 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ 2014 წლის 3 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანებისა და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავეების განხილვის საბჭოს 2014 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანება; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავეების განხილვის საბჭოს 2014 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება; სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევა-ლა შპს „...“ საჩივრის განხილვა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით სსიპ

შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება 2015 წლის 11 აგვისტოს ჩაჰბარდა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რაც დასტურდება საქმეში არსებული „გზავნილით“. მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახური ვალდებული იყო სასამართლოში ან საფოსტო განყოფილებაში სააპელაციო საჩივარი შეეტანა სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მეორე დღიდან (2015 წლის 11 აგვისტოდან) 14 დღის ვადაში ანუ 25 აგვისტოს ჩათვლით. სსიპ შემოსავლების სამსახურმა კი თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 27 აგვისტოს ანუ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით. თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი, რომ 2015 წლის 27 აგვისტოს არის წარდგენილი დადასტურებულია თვით სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 27 აგვისტოს მიმართვით №21-04/91239 და მასზე არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს „შტამპით“. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა შეადგენს 14 დღეს, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2015 წლის 11 აგვისტოს, რომელზედაც საა-

პელაციო საჩივარი მომზადდა 2015 წლის 21 დეკემბერს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. საჩივრის ელექტრონულ ბაზაში ატვირთვა და გაგზავნა განხორციელდა 2015 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ვადაში, რაც დგინდება შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის ამონაწერით (დანართი 1), რომელიც ადასტურებს, რომ სააპელაციო საჩივარი ელექტრონულად გაგზავნილია 2015 წლის 24 აგვისტოს. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი ყოვლად უსაფუძვლოდ დატოვა განუხილველად, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ განჩინება არის დაუსაბუთებელი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეს – სსიპ შემოსავლების სამსახურს, თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება 2015 წლის 11 აგვისტოს გადაეცა, რაც სადავო არ არის და თავადაც ადასტურებს კერძო საჩივრის ავტორი. სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურს 2015 წლის 25 აგვისტოს ოცდაოთხ საათზე ამოეწურა, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2015 წლის 27 აგვისტოს ჩააბარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული 14-დღიანი ვადის დარღვევით. სსიპ შემოსავლების სამსახურს არ წარმოუდგენია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების 2015 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით ჩაბარების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ამონაწერი არ ადასტურებს პროცესუალური კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაცვას, ამონაწერი ვერ უარყოფს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარზე დართულ მიმართვაზე დასმულ შტამზე მითითებული თარიღის უტყუარობას, რომლითაც დასტურდება სააპელაციო საჩივრის სასამართლოსათვის 2015 წლის 27 აგვისტოს წარდგენის ფაქტი. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ამონაწერითაც დგინდება, რომ დოკუმენტი №... (სარეგისტრაციო ნომერი ემთხვევა მოცემულ დავაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის სსიპ შემოსავლების სამსახურში აღრიცხვის ნომერს) ხელმოწერილია 2015 წლის 24 აგვისტოს და 27 აგვისტოს არის გატარებული, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებას – 2015 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით საჩივრის სასამართლოში ან ფოსტაში წარდგენას არც ერთი სტატუსი არ ადასტურებს, რის გამოც არ არსებობს სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ამონაწერის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცებულებად მიჩნევის შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საპროცესო კანონმდებლობა უფლების განხორციელების – სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების თარიღად მიიჩნევს არა სააპელაციო

საჩივრის მომზადებისა და ხელმოწერის, არამედ სასამართლო-ში შეტანის ან ფოსტაში ჩაბარების თარიღს. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერის თარიღს არ აქვს მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი ვერ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილ ვადაში შეტანილად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის მოტივით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რის გამოც სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ოქტომბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# საპროცესო ვადის გასვლის შედეგი

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-791-783(კს-15)

14 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 22 ივნისს ი/მ თ. ჯ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის 2014 წლის 3 ოქტომბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის და აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 8 მაისის №... ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ი/მ თ. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ თ. ჯ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ი/მ თ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით მხარეებს გა-

ნემარტათ მისი გასაჩივრების ვადა და წესი. საქმეში არსებული შეტყობინების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება გაეგზავნა სააპელაციო საჩივრის ავტორის – მოსარჩელე ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგენელს – დ. ჯ-ეს, სარჩელში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №2, მე-7 სართული. გზავნილი ჩაიბარა დ. ჯ-ის ოფისის მდივანმა – მ. ძ-მა, 2015 წლის 27 აგვისტოს. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელე მხარის წარმომადგენლისათვის გზავნილის ჩაბარების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება ადრესატს ჩაჰბარდა 2015 წლის 27 აგვისტოს, გასაჩივრების ვადა დაიწყო 2015 წლის 28 აგვისტოს, რომელიც დასრულდა 2015 წლის 10 სექტემბერს, 24 საათზე, ხოლო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაზე, ი/მ თ. ჯ-ას მიერ წარდგენილი იქნა 2015 წლის 2 ოქტომბერს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა (თოთხმეტი დღე), რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება, რის გამოც ი/მ თ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ თ. ჯ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის ი/მ თ. ჯ-ას სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დავალება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ ვერ დაადგინა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი და დადგენილ ფაქტებს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა. ადრესატის სამუშაო ადგილის მიხედვით გზავნილის ჩაბარებისას ეს უკანასკნელი ბარდება სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან შესაბამის უფლებამოსილ პირს,

ხოლო განსახილველ შემთხვევაში გზავნილის მიმღები პირი – მ. ძ-ი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციას, ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს, შესაბამისად უფლებამოსილ პირს ან ე.წ. „ოფისის მდივანს“, როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გზავნილი არ იყო გათვალისწინებული თავად ორგანიზაციისთვის – შპს „...“, რომლის ოფისშიც მოხდა გზავნილის გადაცემა მ. ძ-ისათვის. მოსარჩელის წარმომადგენელი – დ. ჯ-ე მუშაობს აღნიშნულ ორგანიზაციაში, თუმცა ის პირადად წარმოადგენს ი/მ თ. ჯ-ას და მის ამ საქმიანობას არანაირი კავშირი თავად ორგანიზაციასთან არ აქვს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ი/მ თ. ჯ-ას კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ თ. ჯ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში; ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი



ინყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამასთან, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება

დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგენელს – დ. ჯ-ეს და 2015 წლის 27 აგვისტოს ჩაჰბარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს – მ. ძ-ს, რასაც იგი ჩაბარების დასტურზე ხელმოწერით ადასტურებს. ჩაბარების დასტურის კომენტარში კი, სადაც, როგორც წესი, ხელმომწერის შესახებ ინფორმაცია და ადრესატთან მისი დამოკიდებულება მიეთითება, ჩანაწერია გაკეთებული – ადრესატის კუთვნილი ოფისის მდივანი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ გახადა კერძო საჩივრის ავტორმა, რომლის მტკიცებით გზავნილის მიმღები პირი – მ. ძ-ი არ წარმოადგენდა გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგენლისთვის – დ. ჯ-ისთვის სასამართლო უწყების გაგზავნა და ჩაბარება მოხდა საქმეში მის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ... №2, მე-7 სართული, მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. საქმის მასალებით დგინდება, რომ დ. ჯ-ეს, როგორც ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგენელს, აღნიშნულ მისამართზე ეგზავნებოდა და ბარდებოდა სასამართლო უწყება, ხოლო საქალაქო სასამართლოს მიერ ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგენლის – დ. ჯ-ისთვის გაგზავნილი მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაგებელი ჩაიბარა სწორედ მ. ძ-მა, როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელმა, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. ძ-მა სასამართლო უწყება ჩაიბარა როგორც დ. ჯ-ის სამუშაო ადგილის – ორგანიზაციის წარმომადგენელმა, სასამართლო უწყების ჩაბარებაზე მისი არაუფლებამოსილების ფაქტი კი საქმეზე არ დადასტურებულა. თავის მხრივ მ. ძ-ი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გადაეცა გზავნილი ადრესატისათვის – დ. ჯ-ისათვის. შესაბამისად, ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგენელს – დ. ჯ-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით, მის მიერ

მითითებულ მისამართზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწი-  
ლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა გა-  
ნისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე  
მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპ-  
როცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დად-  
გომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი და-  
საწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქ-  
მედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძ-  
ლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამ-  
დე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰპარ-  
და ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასუ-  
ლად არ ჩაითვლება.

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულსაქმეთა კოლეგიის 2015 წლის  
23 ივლისის გადაწყვეტილების ასლი ი/მ თ. ჯ-ას წარმომადგე-  
ნელს – დ. ჯ-ეს სამუშაო ადგილზე 2015 წლის 27 აგვისტოს ჩაჰ-  
ბარდა, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის ათ-  
ვლა 2015 წლის 28 აგვისტოდან უნდა დაწყებულიყო და შესაბა-  
მისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებაზე  
ი/მ თ. ჯ-ას სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება 2015  
წლის 10 სექტემბრის (ხუთშაბათი) ჩათვლით ენიჭებოდა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემო-  
ებას, რომ ი/მ თ. ჯ-ამ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოში 2015 წლის 2 ოქტომბერს კანონით დადგენი-  
ლი ვადის დარღვევით წარადგინა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხ-  
ლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლე-  
ბა გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ და-  
ნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი რომელიც შეტანილია  
საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ თ.  
ჯ-ას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილ-  
დეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმე-  
ბის სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი/მ თ. ჯ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენის დაწყება და ამოწურვა**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-840-832(კს-15)

2 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 4 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. რ-მა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, მესამე პირები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 19 აგვისტოს №... ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით, გ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტროს 2013 წლის 19 აგვისტოს №... ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული შეტყობინების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2015 წლის 14 ივლისს ჩაჰბარდა. სააპელაციო საჩივარი კი ფოსტაში წარდგენილი იქნა 2015 წლის 29 ივლისს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მხარის მითითებით, სააპელაციო საჩივარი ფოსტას არა 29, არამედ 28 ივლისს ჩაჰბარდა, რასაც კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებები ადასტურებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოი-

ყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაშია შეტანილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2015 წლის 14 ივლისს ჩაჰბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა 15 ივლისიდან დაიწყო და 28 ივლისს ამოიწურა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას 29 ივლისს გადაეცა.

საქმის მასალები ადასტურებს, რომ სააპელაციო საჩივარზე დართულ კონვერტზე დაკრულია შპს „...“ შტრიხ-კოდი გზავნილის ნომრით ..., რომლის „...“ ვებგვერდზე გზავნილის ძიების ველში გადამოწმებისას ნათლად ირკვევა, რომ კორესპონდენცია შპს „...“ კურიერს 2015 წლის 28 ივლისს გადაეცა. გარდა ამისა, კერძო საჩივარს ერთვის საფოსტო გზავნილების რეესტრის

ამონაბეჭდი, საიდანაც ასევე დასტურდება, რომ №... გზავნილი შპს „...“ კურიერს 2015 წლის 28 ივლისს გადაეცა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო უტყუარად დადასტურებულად მიიჩნევს, რომ გზავნილი ფოსტას საპროცესო ვადის ამონაწერამდე გადაეცა, ამდენად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არ არსებობდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობებზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 420-ე, მე-60, 61-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინება და საქმე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივარზე სარკვევის შესავსებად  
დანიშნული ვადის გაგრძელების საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-199-198(კს-16)

26 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ჯ. ბ-ამ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გარდაბნის სა-  
მოქალაქო რეესტრის სამსახურის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა,  
რომლითაც გარდაბნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის  
განყოფილების 25.12.2000 წლის №... განქორწინების სააქტო ჩა-  
ნაწერის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმეში მესამე პირად ჩა-  
ება ა. ბ-ი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ჯ.  
ბ-ას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნო-  
ბილი გარდაბნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყო-  
ფილების 25.12.2000 წლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ  
სამართლებრივი აქტი – №... განქორწინების სააქტო ჩანაწერი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საა-  
პელაციო საჩივრით გაასაჩივრა მესამე პირმა ა. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ა. ბ-ს  
დაევალა განჩინების ასლის კანონმდებლობით დადგენილი წე-  
სით ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 150 ლა-  
რის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დედნის წარმოდ-  
გენა.

ამავე სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის განჩინებით ა. ბ-  
ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.



სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება აპელანტის წარმომადგენელ თ. რ.-ეს 2015 წლის 24 დეკემბერს ჩაჰბარდა. აპელანტს ხარვეზი არ შეუფსია და არც ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების განცხადებით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ბ.-ის წარმომადგენელმა თ. რ.-ემ კერძო საჩივარი წარადგინა. მისი მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება არ ჩაბარებულია. სააპელაციო სასამართლომ ა. ბ.-ის სახელზე მართლაც გაავაზვნა გავაზნილი, მაგრამ კონვერტში მოთავსებული იყო შპს „...-ის“ საქმეზე მიღებული განჩინება, რომლის ინტერესებსაც ასევე თ. რ.-ე იცავს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ა. ბ.-ის წარმომადგენელ თ. რ.-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის

გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შე-  
ავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში  
ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მი-  
იღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ა. ბ-ს  
დაევალა განჩინების ასლის კანონმდებლობით დადგენილი წე-  
სით ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 150 ლა-  
რის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დედნის წარმოდ-  
გენა.

განჩინება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა აპელან-  
ტის წარმომადგენელს და 2015 წლის 24 დეკემბერს ჩაბარდა  
მის მეუღლეს, მ. ყ-ს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი  
ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა  
სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მი-  
თითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვ-  
რებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების მიმღები  
ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი  
სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება. უწყების  
მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს  
ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათ-  
ვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად,  
რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმ-  
ღების ხელმოწერით.

ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი,  
წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვა-  
დის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის  
დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მი-  
სი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში, ხარვეზის შევსების ვადის ათ-  
ვლა 2015 წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო და 31 დეკემბერს ამო-  
იწურა. კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი ამ ვადაში არ გამოუს-  
წორებია და არც რაიმე შუამდგომლობა წარუდგენია სასამარ-  
თლოში.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, ა. ბ-ის გზავნილში მო-  
თავსებული იყო შპს „...-ის“ საქმეზე მიღებული განჩინება, რომ-  
ლის ინტერესებსაც ასევე თ. რ-ე იცავს.

საკასაციო სასამართლო ამ მტკიცებას ვერ გაიზიარებს და  
ყურადღებას ამახვილებს, რომ საქმეში არსებულ სააპელაციო  
სასამართლოს გზავნილზე მითითებულია განსახილველი საქმის

ნომრები – 3ბ/1543-15 და 190310015691884. გზავნილში ასევე აღნიშნულია, რომ თ. რ-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება ეგზავნება. საქმეში წარმოდგენილ გზავნილი ჩაბარების დასტურში ასევე მითითებულია, რომ ადრესატს ჩაჰბარდა №3ბ/1543-15 განჩინება, შესაბამისად, მხარის მხოლოდ სიტყვიერი განმარტება, რომ კონვენტში სხვა საქმეზე მიღებული განჩინება იდო, სასამართლოს არასარწმუნოდ მიაჩნია.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი განუხილველად მართებულად დარჩა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ბ-ის წარმომადგენელ თ. რ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ბ-ის წარმომადგენელ თ. რ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკროცესო მოქმედების შესრულების ვადის  
დაწყება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-754-746(კს-15)

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. შ-ემ 01.10.13წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და თ. დ-ის მიმართ, რომლითაც თ. დ-ის ნაწილში კომისიის 31.05.2015წ. №... საოქმო გადაწყვეტილების და №... საკუთრების დამადასტურებელი მონუმობის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 04.05.2015წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. შ-ემ.

ბათუმის სააპელაციო სასამართლოს 11.08.2015წ. განჩინებით ლ. შ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 369.1 მუხლის დანაწესზე და აღნიშნა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 04.05.2015წ. გადაწყვეტილება ლ. შ-ეს პირადად ჩაჰბარდა 17.07.2015წ.. მისთვის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 18.07.2015წ. და ამოიწურა 31.07.2015წ., სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარედგინა 03.08.2015წ., სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მხარემ გაუშვა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება (აღდგენა) კანონის თანახმად არ დაიშვება.

ბათუმის სააპელაციო სასამართლოს 11.08.2015წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. შ-ემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის სააპელაციო სასამართლოსთვის არსებითად განსახილველად დაბრუნებას,

კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ გასაჩივრებული გადან-  
ყვეტილება მას პირადად არ ჩაბარებია, ხოლო მის წარმომად-  
გენელს ჩაჰბარდა 20.07.2015წ., სააპელაციო საჩივარი წარდგე-  
ნილ იქნა სასამართლოში 03.08.2015წ. საპროცესო ნორმებით  
განსაზღვრული ვადის სრული დაცვით. შემდგომ აღმოჩნდა, რომ  
სასამართლოს გზავნილი ანალოგიურად გაგზავნილი ყოფილა  
ლ. შ-ის მისამართზე და მისი სახლში არ ყოფნის მიზეზით მასზე  
გადასაცემად 17 ივლისს ჩაჰბარდა მეზობლად მცხოვრებ ლ. შ-  
ეს, რომელმაც გზავნილი ლ. შ-ეს გადასცა 23 ივლისს.

22.01.2016წ. ლ. შ-ემ სასამართლო კალიგრაფიული ექსპერ-  
ტიზის დანიშვნის და გზავნილის ჩაბარების დედანი დოკუმენ-  
ტის შპს „...“ გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობით მომართა  
საკასაციო სასამართლოს. ლ. შ-ე შუამდგომლობაში აღნიშნავს,  
რომ საკუთარი ძალებით ვერ შეძლეს ექსპერტიზის ჩატარება,  
ვინაიდან ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერ-  
ტიზის ბიუროს მითითების შესაბამისად შპს „...“ მოითხოვეს  
გზავნილის ჩაბარების დედანი დოკუმენტის წარდგენა, თუმცა  
ასეთი დოკუმენტი ვერ მიიღეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძ-  
ვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს,  
რომ ლ. შ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ  
გარემოებათა გამო: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,  
თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრა-  
ციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპ-  
როცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონისმიერ და სა-  
სამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადებს. კანონისმიე-  
რია ვადა, რომელიც კანონით იმპერატიულადაა განსაზღვრუ-  
ლი და მისი გაგრძელების (აღდგენის) შესაძლებლობას არ ითვა-  
ლისწინებს საპროცესო კანონმდებლობა. სააპელაციო საჩივრის  
შეტანის ვადა იმპერატიულად არის დადგენილი, რომელიც შე-  
ადგენს 14 დღეს, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება  
და იგი იწყება მხარისათვის გადანყვეტილების გადაცემის მო-  
მენტიდან (სსკ-ის 369-ე მუხ.). ვადის აღმკვეთი ხასიათის გამო  
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვადის დენის დაწყების  
მომენტის ზუსტად განსაზღვრას, რომელიც იწყება მხარისათ-  
ვის განჩინების ჩაბარების მომდევნო დღიდან (სსკ-ის 60.2 მუხ.).  
საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგე-

ნილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე (სსკ-ის 61.3 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ლ. შ-ის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 04.05.2015წ. გადაწყვეტილება სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაჰბარდა 17.07.2015წ., რაც დასტურდება საქმეში დაცული ჩაბარების დასტურით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ დასტურდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ ჩაბარების დასტურზე ხელი მოაწერა არა თვითონ, არამედ მეზობელმა – ლ. შ-ემ. სსკ-ის 73.8 მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს გზავნილის სხვა პირისთვის გადაცემის შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, ვინაიდან უწყების ჩაბარების დასტურზე არ არის მითითებული გზავნილის გადასაცემად სხვა პირისათვის ჩაბარების შესახებ. საქმეში დაცულ დასტურზე აღნიშნულია, რომ გზავნილი ჩაიბარა ლ. შ-ემ თვითონ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გზავნილის ჩაბარებისას გარდა ხელმოწერისა, მიმღები მასზე აფიქსირებს საკუთარ პირად ნომერს, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა და რაც ადასტურებს ლ. შ-ის მიერ გზავნილის ჩაბარებას. კერძოდ, საქმეში დაცულ დასტურზე მითითებული პირადი ნომერი ემთხვევა ლ. შ-ის პირად ნომერს (შედარდა საქმეში დაცულ ლ. შ-ის პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან).

საფუძველს არის მოკლებული კერძო საჩივრის მითითება იმის შესახებ, რომ მის წარმომადგენელს სასამართლოს განჩინება ჩაჰბარდა 20.07.2015წ., რის გამოც მის მიერ სააპელაციო საჩივრის 03.08.2015წ. წარდგენა კანონმდებლობის სრული დაცვით მოხდა. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს გზავნილის მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის გაგზავნას, გზავნილი ჩაბარებულად ითვლება თუ გზავნილი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს (სსკ-ის 70.1 მუხ.). წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად (სსკ-ის 13.2 მუხ.). ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 60.1 მუხლით განსაზღვრული საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა უნდა დაიწყოს მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების (განჩინების) ასლის ჩაბარების მომენტიდან. ამდენად, მართებულია გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლის დაწყება არა წარმომადგენლისათვის (20.07.2015წ.), არამედ მხარისათვის გზავნილის (17.07.2015წ.) ჩაბარების მომდევნო დღიდან – 2015 წლის 18 ივლისიდან, შე-

საბამისად გასაჩივრების ვადა დასრულდა 2015 წლის 31 ივლისს, რომელიც იყო სამუშაო დღე პარასკევი და არ ემთხვეოდა დასვენების ან არასამუშაო დღეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. შ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია, იგი უცვლელად უნდა დარჩეს, არ არსებობს ლ. შ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება ლ. შ-ის შუამდგომლობას სასამართლო კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნისა და გზავნილის ჩაბარების დედანი დოკუმენტის შპს „...“ გამოთხოვის შესახებ, ექსპერტიზის ბიუროსთვის წარდგენის მიზნით, საკასაციო პალატა თვლის, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს, სსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მის პროცესუალურ კომპეტენციაში შედის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი მოიპოვოს და საქმეზე შეაგროვოს ახალი მტკიცებულებები, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო ინსტანციაში ახალი მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლო ვერ უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილის დედანის გამოთხოვას ექსპერტიზაზე წარსადგენად, ვინაიდან „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალად ითვლება. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ელექტრონული ხელმოწერის დედანი დოკუმენტის მოპოვების შესაძლებლობას, ვინაიდან ხელმოწერა სრულდება არა მატერიალურად, არამედ ელექტრონულად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სსკ-ის 71-ე, 73-ე, 74-ე, 369-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. შ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გზავნილის მხარის მოჯახის წევრისათვის ჩაბარებისას საპროცესო ვადის ათვლა**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-481-476(კს-16)

13 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ტ-ემ 2015 წლის 25 აგვისტოს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა „სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო დ. ტ-ის დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის შეჩერებისა და ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის (დემონტაჟის) თაობაზე“ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 16 აპრილის №110 დადგენილებისა და დ. ტ-ის 2015 წლის 13 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის 2015 წლის 6 აგვისტოს №... ბრძანების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საა-



პელაციო წესით გაასაჩივრა დ.ტ-ემ. აპელანტიმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინებით დ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 369.1 მუხლის დანაწესზე და აღნიშნა, რომ დ. ტ-ის წარმომადგენელს ზ. ტ-ეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება ჩაჰპარდა 2016 წლის 10 თებერვალს, შესაბამისად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლის 11 თებერვალს და ამოიწურა 2016 წლის 24 თებერვალს, სააპელაციო საჩივარი კი ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2016 წლის 25 თებერვალს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარემ გაუშვა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება (აღდგენა) კანონის თანახმად არ დაიშვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ტ-ემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის სააპელაციო სასამართლოსთვის არსებითად განსახილველად დაბრუნებას. კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაშია შეტანილი, რის დადასტურებელი მტკიცებულებებიც საქმეში მოიპოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დ. ტ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონისმიერ და სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადებს. კანონისმიერია ვადა, რომე-

ლიც კანონით იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების (აღდგენის) შესაძლებლობას არ ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იმპერატიულად არის დადგენილი, რომელიც შეადგენს 14 დღეს, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან (სსკ-ის 369-ე მუხ.). ვადის აღმკვეთი ხასიათის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვადის დენის დანყების მომენტის ზუსტად განსაზღვრას, რომელიც იწყება მხარისათვის განჩინების ჩაბარების მომდევნო დღიდან (სსკ-ის 60.2 მუხ.). საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება დ.ტ-ის წარმომადგენელ ზ. ტ-ეს 2016 წლის 10 თებერვალს ჩაჰბარდა, ამასთან, აღსანიშნავია, რომ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზ. ტ-ე დ. ტ-ის ოჯახის წევრია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სასამართლო გზავნილის ჩაბარებას მხარის ოჯახის წევრისათვის.

საკვსაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება დ.ტ-ეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა 10.02.16 წელს, ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა 11 თებერვლიდან დაიწყო და 24 თებერვალს ამოიწურა. სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2016 წლის 25 თებერვალს, ამასთან საჩივრის შევსების თარიღად ასევე 25 თებერვალია მითითებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ვინაიდან დ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით არის წარდგენილი, სააპელაციო სასამართლომ განუხილველად მართებულად დატოვა, ამდენად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ტ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინება
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. დამატებითი გადაწყვეტილება

#### დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა

##### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-460-454(კ-კს-14)

25 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა და  
გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება.

##### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ხ-მა სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა, კერძოდ, გამგებლის მოადგილის ნაწილში დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.06.13წ. №... დადგენილების 56-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 05.07.13წ. №... ბრძანების ნაწილობრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 06.11.13წ. №... განკარგულების, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 12.11.13წ. №... წერილით მიღებული გადაწყვეტილების, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 08.01.14წ. №... ბრძანების ბათილად ცნობა, ნ. ხ-ის დაუყოვნებლივ აღდგენა დუშეთის მუნიციპალიტეტის ... თანამდებობაზე იმავე პირობებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ნ. ხ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება, მისი თანამდებობაზე არ ყოფნის მთელი პერიოდისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 06.03.14წ. გადაწყვეტი-

ლებით ნ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.06.13 წ. №... დადგენილების 56-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ნაწილში, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 08.01.2014 წ. №... ბრძანება და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ნ. ხ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 100 (ასი) ლარი და 50 (ორმოცდაათი) ლარი. მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა. მხარეებს განემარტათ, რომ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი, რომლითაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარი ეთქვა მხარეს, შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით 12 დღის ვადაში. მხარეებს ასევე განემარტათ გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.14წ. განჩინებით ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ნ. ხ-მა 25.06.14წ. განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, დამატებითი განჩინების მიღებისა და განჩინებაში უსწორობის გასწორების შესახებ მოთხოვნით. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სააპელაციო საჩივარში უთითებდნენ იმის შესახებ, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით არასწორად მოხდა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტება, ვინაიდან კერძო საჩივრით გასაჩივრებას არ ექვემდებარება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება, ასეთი განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო საჩივართან ერთად. რაიონულმა სასამართლომ არასწორად დაადგინა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების წესი. სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ გადაწ-

ყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღნიშნა ამ პრეტენზიის შესახებ, სამოტივაციო ნაწილში კი მასზე არ უმსჯელია, რაც დამატებითი გადანყვეტილების მიღების საჭიროებას ქმნის. განმცხადებელი ასევე არასწორად მიიჩნევდა სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან. განმცხადებელმა მიუთითა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მას გააჩნია საკუთარი ადგილობრივი ბიუჯეტი, რის გამოც დაუმეგებელია მისი გათავისუფლება სახელმწიფო ბაჟისაგან. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით ნ. ხ-ი ითხოვდა საკითხების სწორ საპროცესო მონესრიგებას შესაბამისი საპროცესო მექანიზმებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.07.14წ. განჩინებით ნ. ხ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანისა და განჩინებაზე დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 261-ე მუხლის დაწესებაზე და აღნიშნა, რომ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საკითხი შესაძლებელია, დაისვას გადანყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.05.14წ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა ნ. ხ-ი, ხოლო მისმა წარმომადგენელმა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ შუამდგომლობით 2014 წლის 25 ივნისს მიმართა. ვინაიდან ამ დროისათვის გასული იყო კანონმდებლობით დადგენილი 7-დღიანი ვადა, ნ. ხ-ის წარმომადგენელს უარი ეთქვა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 260.2 მუხლის დანაწესზე და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.05.14წ. განჩინებაში ადგილი არა აქვს უსწორობებსა და არითმეტიკულ შეცდომებს, რის გამოც ნ. ხ-ის წარმომადგენელს ი. პ-ს უარი ეთქვა გადანყვეტილებაში უზუსტობებისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ნ. ხ-ის წარმომადგენელმა ი.პ-მა კერძო საჩივრით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.07.14წ. განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა მის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი 25.06.14წ. განცხადებისა და სააპე-

ლაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების შინაარსზე და დამატებით აღნიშნა, რომ პროცესუალურად მცდარად მი-აჩნია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება, დაისვას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში. სსკ-ის 261.2 მუხლის დანაწესი გულისხმობს სხდომაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ან მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანიდან 7-დღიანი ვადის ათვლას. მხარის მიერ ამ ვადის გაშვების შემთხვევაშიც კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მართლმსაჯულების პირობებში სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით მოანესრიგოს ის საკითხი, რომლის მონესრიგება გამორჩა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა შუამდგომლობაში მითითებულ სახელმწიფო ბაჟის საკითხზე. გასაჩივრებული განჩინების სათაური და შინაარსი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა კოლეგიური შემადგენლობით, გასაჩივრებული განჩინება კი მიღებულია ერთპიროვნულად. შესაბამისად, განჩინება არაკანონიერი სასამართლოს შემადგენლობის მიერ არის მიღებული, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დამოუკიდებელი საფუძველია. განჩინება მიღებულია სსკ-ის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დანაწესის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან განჩინების სამოტივაციო ნაწილი არის ერთი აბზაცით გამოხატული წინადადება, სათანადოდ, გულმოდგინე დასაბუთების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ განჩინებას, ნ. ხ-ის კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება დაუყოვნებლივ აღსრულების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით არ ქმნის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. ხ-მა ისარგებლა დაუყოვნებლივ აღსრულებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით, სააპელაციო სასამართლომ მთლიანად მიიღო წარმობაში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაზე ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების წესთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის მიერ მიღებული განჩინებით მოსარ-

ჩელეს არ შეზღუდვია ამ საკითხის ზედა ინსტანციაში დასმის უფლება, აღნიშნული უფლების შემაფერხებელი იყო არა გასაჩივრების წესი, არამედ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დაუყოვნებლივი აღსრულების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლება ნ. ხ-ს არ შეეღაზა, ხოლო მონინააღმდეგე მხარეს სასამართლოების აქტები, მათ შორის დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის ნაწილში, არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, არ იკვეთება ნ. ხ-ის უფლებადამცავი ინტერესი გასაჩივრების წესთან დაკავშირებით. ინტერესის არსებობის საჭიროებას არ გამორიცხავს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება შესაბამისი საპროცესო მექანიზმებით სწორი საპროცესო მოწესრიგების საჭიროების შესახებ. ამდენად, არ არსებობდა დაუყოვნებლივი აღსრულების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, მით უფრო, რომ ასეთი მოთხოვნა არ არის მოცული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ნორმით. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის სსკ-ის 261-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საკითხი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების მიღმა დარჩა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 261.2 მუხლის თანახმად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. 7-დღიანი ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება მხარე. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას მხარე არ ესწრება, 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყება მოტივირებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.05.14წ. სხდომის ოქმით დასტურდება, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ ნ. ხ-ი და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი. შესაბამისად, მითითებული მხარეებისათვის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2014 წლის 29 მაისიდან. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ნ. ხ-ის მიერ გაშვებულია საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული 7-დღიანი ვადა, რის გამოც მას სააპელაციო პალატის მიერ სწორად ეთქვა უარი და-



მატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსის არაერთი მუხლი შეიცავს მითითებას დასაბუთებული გადაწყვეტილების შესახებ, მაგ. სსკ-ის 369.2 მუხლი ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლას დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების გამოქვეყნებიდან საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლას ითვალისწინებს აგრეთვე სსკ-ის 397.2 მუხლი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საპროცესო ვადის მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში ათვლის დაწყების თაობაზე დებულებას არ შეიცავს სსკ-ის 261-ე მუხლი, რაც ადასტურებს ხსენებული ნორმით გათვალისწინებული ვადის ათვლის შესაძლებლობას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისთანავე, უკეთეს გამოცხადებას ესწრება მხარე, ვინაიდან გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე ნათელია სასამართლოს მიერ დავის რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების არ გამოტანა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ყველა მოთხოვნის მიმართ ამომწურავი დასკვნების არარსებობა ადასტურებს დავის არასრულ გადაწყვეტას, რაც აძლევს მხარეს სრულ შესაძლებლობას მოტივირებული გადაწყვეტილების ჩაბარებამდე მოითხოვოს სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შვიდდღიან ვადაში, რომელიც აღმკვეთი ხასიათისაა და იმ შემთხვევაში თუ მხარე ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას, ათვლება გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან გადაწყვეტილება იძენს შეუცვლელობის თვისებას, შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მისი გასწორების უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ინსტანციას. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეცდომის გამოსწორების საგამონაკლისო შემთხვევა (სსკ-ის 260-ე მუხ.) ითვალისწინებს ისეთი შესწორების შეტანის შესაძლებლობას, რომელიც არ ცვლის სასამართლო გადაწყვეტილების არსს. მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილი ცვლილება არსებითად ცვლის სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, მოთხოვნა სცილდება სსკ-ის 260-ე მუხლის ფარგლებს, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილებაში უსწორობას ან აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორებას. უსწორობა შეიძლება ეხებოდეს მხარეთა დასახელებას, ცალკეული სიტყვების გამრუდებას, დაშვებულ მექანიკურ შეცდომებს

წერის დროს. სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული უსწორობის გასწორებით არ არის მოცული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის გამოყენება, რომელიც კერძო საჩივრის ავტორის აზრით არასწორად იქნა გაგებული სააპელაციო პალატის მიერ. ამასთანავე, სახელმწიფო ბაჟის საკითხი სასამართლოს მიერ გადაწყდა, ორივე ინსტანციის სასამართლომ დაუბრუნა მოსარჩელეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. შესაბამისად, არ არსებობდა შეცდომის გასწორების და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საფუძველს არის მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სახელმწიფო ბაჟის საკითხზე, რომელზედაც მიუთითებდა ნ. ხ-ი შუამდგომლობაში. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში ადგილი არა აქვს უსწორობებსა და არითმეტიკულ შეცდომებს, რაშიც იგულისხმებოდა სახელმწიფო ბაჟის საკითხიც. სააპელაციო სასამართლომ 29.05.14 წ. განჩინებაში სწორად მიუთითა სასკ-ის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ ხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე. ამასთანავე, აღნიშნული საკითხი სცილდება სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესაძლებლობას, ვინაიდან დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ადგილი არ ჰქონია უზუსტობასა და შეცდომას, რის გამოც ნ. ხ-ს ამ ნაწილშიც სწორად ეთქვა უარი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სამართლებრივ საფუძველს არ ემყარება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინება სააპელაციო პალატის არაკანონიერმა შემადგენლობამ მიიღო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 34.1<sup>1</sup> მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო საჩივარი ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, სასკ-ის მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამსახურში შრომითი

ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რის გამოც სასკ-ს მე-6 და 34.11 მუხლების შესაბამისად სააპელაციო პალატის მოსამართლე უფლებამოსილი იყო ერთპიროვნულად ემსჯელა დამატებითი განწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხზეც. საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ხ-ის მიერ დამატებითი განწყვეტილების გამოტანის ვადის გაშვების გამო არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი, ნ. ხ-ს სწორად ეთქვა უარი დამატებითი განწყვეტილების გამოტანასა და უსწორობის გასწორებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.14წ. განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.07.14წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ღამატაჰითი გადაწყვეტილების გამოტანის  
საუწყებლო**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-254-250(კ-2კს-15) 15 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ხ-მა 2014 წლის 28 მაისს სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს დუშეთის მუნიციპალიტეტში, მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა გამოცემის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 01 მაისის №... ბრძანება; ნ. ხ-ი აღდგენილ იქნეს დაუყოვნებლივ დუშეთის მუნიციპალიტეტის ... თანამდებობაზე; მოპასუხეს დაეკისროს ნ. ხ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი თანამდებობაზე არ ყოფნის მთელი პერიოდისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

რ. ყ-მა 2014 წლის 30 მაისს სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს დუშეთის მუნიციპალიტეტში, მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 1 მაისის №... ბრძანების ბათილად ცნობა და დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით ერთ წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციული საქმე №3/25 -14 – ნ. ხ-ის სარჩელი მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და ადმინისტრაციული საქმე №3/27 -14 – რ. ყ-ის სარჩელი მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ჩაბმულ იქნენ ბ.

ლ-ი და თ. უ-ი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ყ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 მაისის №... ბრძანება და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; რ. ყ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ნ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 მაისის №... ბრძანება და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; ნ. ხ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ხ-მა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. ხ-ის სარჩელის ნაწილში (გადაწყვეტილების მე-4, მე-5, მე-6 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 მაისის №... ბრძანება ნ. ხ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ; ნ. ხ-ს აუნაზღაურდეს სამი თვის თანამდებობრივი სარგო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. ნ. ხ-ის სარჩელი სამსახურში აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 1 დე-

კემბრის გადაწყვეტილება რ. ყ-ის სარჩელის ნაწილში (გადაწყვეტილების პირველი, მე-2, მე-3 პუნქტები).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

2015 წლის 9 მარტს ნ. ხ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა იშუამდგომლა. მან შუამდგომლობაში აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე, 2015 წლის 27 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით არ იქნა გადაწყვეტილი სააპელაციო საჩივართან ერთად კერძო საჩივრით გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ განჩინებების საპროცესო ბედი, რომელიც წინ უსწრებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. განმცხადებლის მითითებით სააპელაციო პრეტენზიების სხვა მოთხოვნებზე უარის თქმად ვერ იქნება მოაზრებული ხსენებულ განჩინებებზე უარის თქმაც, ვინაიდან მათზე ვერ გავრცელდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განმარტებული გასაჩივრების წესი, რადგან დასახელებული განჩინებების გასაჩივრების საკითხს განსხვავებულად წყვეტს საპროცესო კანონი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განჩინებით ნ. ხ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ხ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ხ-ის კერძო საჩივარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ნ. ხ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განჩინებით ნ. ხ-ის წარმომადგენელს ი. პ-ს უარი ეთქვა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანხმად, გადანყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადანყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადანყვეტილება არ გამოტანილა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ანუ სასარჩელო მოთხოვნების მიმართ; მოსარჩელის მიერ აღძრული თითოეული მატერიალურ-სამართლებრივი (სასარჩელო) მოთხოვნის მიმართ სასამართლოს გამოაქვს გადანყვეტილება, რომელიც გამომდინარეობს გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან და აისახება გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში; შესაბამისად, სსსკ-ის 261-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის გზით გადანყვიტოს იმ სასარჩელო მოთხოვნის ბედი, რომელიც იყო სარჩელის საგანი და რომელსაც ძირითად გადანყვეტილებაში არ მიეცა სამართლებრივი შეფასება; სასამართლო მიუთითებს,



რომ მხარის მიერ ისეთი განჩინებების მიმართ აღძრული პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით ზემდგომ ინსტანციებში წარდგენილი ვერ იქნება კერძო საჩივრის ფორმით, სსსკ-ის 377-ე მუხლის მიხედვით ზემდგომ ინსტანციებს წარედგინება შესაბამისად სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში ასახვის გზით და ისინი ექვემდებარებიან შემომნებას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან ერთად სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად; აღნიშნულიდან გამომდინარე ასეთი სახის პროცესუალური მოთხოვნების კანონიერებაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მსჯელობს სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის ფარგლებში, რაც აისახება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად და კანონის სწორად განმარტების შედეგად არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი – დამატებითი გადაწყვეტილება წარმოადგენს ფაქტობრივად შემაჯამებელი გადაწყვეტილების ნაწილს (იგი შემაჯამებელი გადაწყვეტილების მსგავსად საჩივრდება სააპელაციო ნესით), რომელიც სასამართლოს გამოაქვს იმ პირობებში, როდესაც საქმის არსებითად განხილვისას მხარის მიერ აღძრული მოთხოვნების შესახებ გამოტანილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში არ აისახა სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოთხოვნათა იმ ნაწილზე, რომელთა შესახებაც მხარეებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ახსნა-განმარტებები, წარდგენილი ჰქონდათ მტკიცებულებები, ანუ ფაქტობრივად სასამართლო განხილვა მათ შესახებ გაიმართა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მათ შესახებ არ მიეთითა სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ან როდესაც სასამართლომ გადაწყვიტა რა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან შესასრულებელი მოქმედება; ასევე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი, როდესაც სასამართლოს ძირითად მოთხოვნებთან ერთად არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ასეთ პირობებში საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, უშვებს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, მაგრამ სსსკ-ის 261-ე მუხლში დეტალურად არის ჩამოთვლილი ის შემთხვე-



ვები, როდესაც დაიშვება დამატებითი გადანყვეტილების მი-  
ღება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საა-  
პელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით,  
რომ ნ. ხ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში აღძრული მოთხოვნე-  
ბი საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინების და ადმინისტრა-  
ციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით  
მესამე პირებად ჩაბმის შესახებ განჩინების გაუქმების თაობა-  
ზე წარმოადგენენ მხოლოდ პროცესუალური ხასიათის მოთხოვ-  
ნებს; შესაბამისად, სასამართლოს ჰქონდა მსჯელობა სააპელა-  
ციო საჩივრის ფარგლებში გადანყვეტილების სამოტივაციო ნა-  
წილში და მიუთითა აღნიშნული მოთხოვნების უსაფუძვლობის  
შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო  
მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნ-  
და დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული გან-  
ჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-  
2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის გან-  
ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

**დამატებითი გადაწყვეტილების გამომტანის  
საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-497-490(კ-15)

26 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „...“ განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე №ბს-497-490 (კ-15) საქმეზე, მოსარჩელე შპს „...“, მოპასუხეები – შპს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა.

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 20 ნოემბრის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 2 დეკემბრის №... ბრძანება;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 14 იანვრის №... ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სადავო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 14 იანვრის №15 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შსს-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

აღნიშნული განჩინება შსს-მ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს „...“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში.

2015 წლის 30 დეკემბერს შპს „...“ წარმომადგენელმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა და ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. განმცხადებლის მტკიცებით, იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტება, გადაწყვეტილება არ გამოტანილა, კერძოდ, 20.11.2013 წლის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 02.12.2015 წლის №... ბრძანების საფუძველზე ჯარიმა უნდა დაკისრებოდა უშუალოდ მცველს – რ. ჯ-ს, გარდა ამისა, აღნიშნული სამართალდარღვევისათვის ჯარიმის გასამმაგების საფუძველს „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა შპს „...“ განცხადება და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის

მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;

გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

მოცემულ შემთხვევაში, მხარე თავისი მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ ნორმის საფუძველზე დამატებითი გადაწყვეტილების გამომტანა დასაშვებია, თუ მხარეს ჰქონდა რამდენიმე მოთხოვნა, წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები ან/და მისცა სასამართლოს ახსნა-განმარტება, მაგრამ სასამართლოს რომელიმე მოთხოვნა არ შეუფასებია და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ამ მოთხოვნის მიმართ არ არის განსაზღვრული რაიმე შედეგი (დაკმაყოფილდა თუ არ დაკმაყოფილდა). საკასაციო სასამართლო აქვე ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი კი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, შესაბამისად, თუნდაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სათანადოდ არ იყოს გამახვილებული ყურადღება მხარის რომელიმე მოთხოვნაზე, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრულია ამ საკითხზე რაიმე სამართლებრივი შედეგი, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა აღარ არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში მხარე მიუთითებს, რომ მოსარჩელე

სადავოდ ხდოდა როგორც დაჯარიმების საფუძველს, ისე ჯარიმის ოდენობას, რაზეც საკასაციო სასამართლომ არ იმსჯელა. მხარის აზრით, 20.11.2013 წლის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 02.12.2015 წლის №... ბრძანების საფუძველზე ჯარიმა უნდა დაკისრებოდა უშუალოდ მცველს – რ. ჯ-ს, გარდა ამისა, აღნიშნული სამართალდარღვევისათვის ჯარიმის გასამმაგების საფუძველს „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მოთხოვნა იყო ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 20 ნოემბრის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა; ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 2 დეკემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა და გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 14 იანვრის №... ბრძანების ბათილად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა სრულად, ამდენად, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ მხარე, წარმოდგენილი განცხადებით, პრაქტიკულად, რომელიმე „გამორჩენილი“ მოთხოვნის თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებას კი არ ითხოვს, არამედ საქმის განხილვის შედეგს ხდის სადავოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ მოთხოვნა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 284-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. შპს „...“ მოთხოვნა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-397-391(2კ-4კს-15)

26 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. რ-ის წარმომადგენელ ი. პ-ის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისა და საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე №ბს-397-391(2კ-4კს-15) საქმეზე, მოსარჩელე მ. რ-ე, მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. რ-ემ 2014 წლის 22 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისა და მესამე პირის ე. თ-ის მიმართ. მოსარჩელემ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა, მ. რ-ის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განაცდურის ანაზღაურება და სადავო აქტის ბათი-

ლად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანება, მ. რ-ის გათავისუფლების თაობაზე; მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. რ-ის დაუყოვნებლივ სამსახურში აღდგენის თაობაზე; დაევალა მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას მოსარჩელე მ. რ-ის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტი მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. რ-ემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 აპრილის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა საქმის შეჩერების შესახებ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/429-15, აპელანტი (მოსარჩელე) – მ. რ-ე, აპელანტი (მოპასუხე) – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა, დავის საგანი – აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, განაცდურის ანაზღაურება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, შეჩერდა საქმის განხილვა, მ. რ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვნილია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურების შესახებ, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით მ.

რ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე სასამართლოს მიერ აღდგენილ არ იქნა პირდაპირ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი აღდგენის საკითხი სასამართლომ მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებით განახორციელა, არ დაკმაყოფილდა; მ. რ-ის მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინების (ჩანაწერი), რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ასლის საქმეზე დართვის თაობაზე, დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ასლის, საქმეზე მტკიცებულებების სახით დართვის თაობაზე; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინების იმ ნაწილში გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის შუამდგომლობა – სარჩელის დაჩქარებული წესით განხილვაზე; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრისა (დასაბუთებული) და 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც აუცილებელი წესით მოსაწვევი მესამე პირის სახით (ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე) ჩაბმულ იქნა ე. თ. ი.; დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, საქმეზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინების გაუქმების შესახებ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეკისრა ადვოკატის ხარჯები მ. რ-ის სასარგებლოდ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის



გამგეობისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, დანარჩენ ნაწილში; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. რ-ემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით მ. რ-ის საკასაციო საჩივარი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი, გარდა მ. რ-ის სასარგებლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის ადვოკატის ხარჯების – 500 ლარის დაკისრების ნაწილისა, მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2016 წლის 14 აპრილს მ. რ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა, რომლითაც მოითხოვა საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო ინსტანციაში განეული საპროცესო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ასევე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა. განმცხადებლის აზრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორი პრაქტიკა დაამკვიდრა წარმატებული მხარის მიერ განეული ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხზე. სადავო საკითხს განსხვავებულად წყვეტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. მისი მტკიცებით, ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება დასაშვებია მაშინაც, როდესაც კასატორის საკასაციო პრეტენზია განუხილველი რჩება დაუშვებლობის გამო, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების მონინალმდევე მხარისათვის დაკისრების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა მ. რ-ის წარმომადგენელ ი. პ-ის განცხადება და მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის

მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემაში ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;

გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის აზრით, საკასაციო სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების ანაზღაურების შესახებ საკასაციო მოთხოვნაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დას-

კენა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლება დადგეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის, ან სხვა საპროცესო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, კასატორის მიერ ამ ხარჯის გაწევა არ დასტურდება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ისეთ პირობებში, როდესაც არ დასტურდება კონკრეტული ხარჯის გაწევა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ამდენად, საკასაციო სასამართლოს მხედველობიდან კი არ გამორჩა მ. რ-ის საკასაციო მოთხოვნა, არამედ უსაფუძვლოდ მიიჩნია და საკასაციო საჩივარი, ამ მოთხოვნის ჩათვლით, დაუშვებლად ცნო.

განმცხადებელი ასევე მოითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრის მ. რ-ის სასარგებლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის ადვოკატის ხარჯების – 500 ლარის დაკისრების ნაწილში, განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391<sup>1</sup>.1 მუხლის თანახმად საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ად-

რე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი საქმე ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს და განმცხადებლის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 391<sup>1</sup>-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. რ-ის წარმომადგენელ ი. პ-ის მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. მ. რ-ის წარმომადგენელ ი. პ-ის მოთხოვნა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. სასამართლო სარჩები

### სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი

#### ბანკინება საქართველოს სახელით

№ბს-22-18(კს-13)

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი/მ „ი.რ.ო-იმ“ 2012 წლის 20 აპრილს სარჩელით მიმართა თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამი-  
ნისტროს დავების განხილვის საბჭოს მიმართ და მოითხოვა ბა-  
თილად იქნეს ცნობილი შემოსავლების სამსახურის აუდიტის  
დეპარტამენტის 2011 წლის 2 ნოემბრის №... ბრძანება, შემო-  
სავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 3  
ნოემბრის №... „საგადასახადო მოთხოვნა“, ქონებაზე ყადაღის  
დადების შესახებ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 20 დე-  
კემბრის №... ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს-  
თან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2012 წლის 9 მარტის  
№... გადაწყვეტილება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს-  
თან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2012 წლის 22 მარ-  
ტის №... გადაწყვეტილება და შემოსავლების სამსახურის 2012  
წლის 23 მარტის №... ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი/მ  
„ი.რ.ო-ის“ სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ ინ-  
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბა-

თილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „ი.რ.ო-იმ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ი/მ „ი.რ.ო-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემომწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი აღარ მიიღება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ვადა ხარვეზის შესავსებად და განემარტა, რომ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ შევსებულა, არც რაიმე შუამდგომლობა ყოფილა წარდგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობა წარმოუდგენია ხარვეზის შევსებისათვის დანესებულ ვადაში ვადის გაგ-

რძელების თაობაზე, სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ „ი.რ.ო-იმ“, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ი/მ „ი.რ.ო-ის“ კერძო საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლო ხარჯების გადახდისგან განთავისუფლების წინაპირობებს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან მხარეთა განთავისუფლების სხვა შემთხვევებიც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლების თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გაანთავისუფლოს მხარე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან ან გადაუვალოს მას ბაჟის გადახდა პროცესის დასრულებამდე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი/მ „ი.რ.ო-ის“ მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ კერძო საჩივრის ავტორის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას. ი/მ „ი.რ.ო-ი“ უთითებდა, რომ მას და მის ძმას – ი/მ „ზ. რ-ს“ ძირითადი სასჯელის სახით განსაზღვრული აქვთ თავისუფლების აღკვეთა 05 წლის და 06 თვის ვადით, დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნიათ და დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული აქვთ სახელმწიფოს სასარგებლოდ თითოეულს 50 000 ლარის გადახდა ჯარიმის სახით, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 აპრილის განაჩენით, რომელიც თან ერთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარდგენილ განცხადებას სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების ან გადახდის გადავადების შესახებ. ამავე განცხადებას ერთვის მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2012 წლის 12 აპრილის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ი/მ „ი.რ.ო-ის“ მთელ ქონებაზე რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ ქვედა ინსტანციების სასამართლოებში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება ი/მ „ი.რ.ო-ის“ მძიმე მატერიალური მდგომარეობა, იგი არ არის დასაქმებული პატიმრობის გამო და ვერ განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ დაყადაღებულ ქონებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე, კერძო საჩივრის ავტორს უნდა გადაუვადოს სახელმწიფო ბაჟის გადახდა პროცესის დასრულებამდე, და განიხილოს საქმე სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და:

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი/მ „ი.რ.ო-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

2. საქმე ი/მ „ი.რ.ო-ის“ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასანყვეტად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**სასჯელმთვომო გაჟინს გადახდის ქვითრის დედნის  
სასამართლოში წარმოდგენის ვალდებულება**

**განჩინება  
საქართველოს სასჯელით**

№ბ-734-2(ა-15)

27 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მ. ა-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი „სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო მ. ა-ის დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე“ ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 18 თებერვლის №... დადგენილება და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ქ. ბათუმის მერის 2014 წლის 27 მარტის №... ბრძანება. ქ. ბათუმის მერია/ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურს/ დაევალა, ამ გადაწყვეტილებაში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მ. ა-ის მიმართ, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ ბათუმის მერიამ, ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქალაქ ბათუმის მერიის და ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედ-

ველობის სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნა-  
წილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014  
წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამარ-  
თლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ა-ის სარ-  
ჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ.  
ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 18  
თებერვლის №... დადგენილება მ. ა-ის მიერ განხორციელებული  
მშენებლობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის (მიშენე-  
ბული აივნის დემონტაჟის) ნაწილში, ამავე ნაწილში ბათილად  
იქნა ცნობილი მ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფი-  
ლებაზე უარის თქმის შესახებ ქ. ბათუმის მერის 2014 წლის 27  
მარტის №... ბრძანება და ქ. ბათუმის მერიას/ქ. ბათუმის მერიის  
ზედამხედველობის სამსახურს დაევალა საქმისათვის არსები-  
თი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შე-  
ფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ა-  
ის მიმართ; მ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა დაჯარიმების ნაწილ-  
ში ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის  
18 თებერვლის №... დადგენილების ბათილად ცნობისა და ამავე  
ნაწილში მისი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე  
უარის თქმის შესახებ ქ. ბათუმის მერის 2014 წლის 27 მარტის  
№... ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით მ. ა-ეს  
დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა საკასაციო სასამართლოს გან-  
ჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახ-  
დის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა. ამას-  
თან, კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის გამოუსწორებლო-  
ბის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილვე-  
ლი. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განჩინება  
კასატორ – მ. ა-ეს გაეგზავნა და ჩაბარდა 2015 წლის 25 აპრილს  
კასატორის ოჯახის ქმედუნარიან პირს – მეუღლეს ჯ. ბ-ეს (პ/ნ  
..., სსკ-ით დადგენილი წესით. შესაბამისად, ზ. ნ-ისთვის ხარვე-  
ზის გამოსწორების ვადა 2015 წლის 4 მაისის 24 საათზე ამოიწუ-  
რა. კასატორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც ხარვეზის  
გამოსწორებისთვის დადგენილი ვადის გაგრძელების თხოვნით  
მოუმართავს სასამართლოსთვის, რის გამოც საკასაციო სასა-  
მართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინებით მ. ა-ის საკასაციო  
საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ა-ემ, რო-  
მელმაც საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმ მოტივით,

რომ საკასაციო სასამართლოს განჩინების შესაბამისად მან ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, თუმცა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა დროულად ვერ მოხერხდა სასამართლოსათვის. მითითებული საფუძვლით მ. ა-ემ მოითხოვა საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხარვეზის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინების ასლი მ. ა-ის მეუღლეს 2015 წლის 25 აპრილს ჩაბარდა, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 26 აპრილს და ხარვეზის შევსების 7-დღიანი ვადა 2015 წლის 4 მაისის 24 საათზე ამოიწურა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ კასატორს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დედანი საქართველოს უზენაეს სასამართლოში უნდა წარმოედგინა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშ-

ვებოდა და დარჩებოდა განუხილველი. ამდენად, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა მოიცავდა არა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის, არამედ, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დედნის სასამართლოში წარმოდგენის ვადას და ასევე ვალდებულებას, რაც კასატორს არ შეუსრულებია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი (განცხადება, დოკუმენტი) რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ამდენად, სსკ-ის 396.3 მუხლის მიხედვით სახეზე იყო მ. ა-ის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების უპირობო საფუძველი.

სსკ-ის 430.2 მუხლის თანახმად, თუ აღმოჩნდება, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. ა-ის განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ა-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. ჯ. ბ-ეს (პ.ნ....) დაუბრუნდეს მ. ა-ის საკასაციო საჩივარზე 2015 წლის 1 მაისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო სარჩების გადახდის გადავადების  
საფუძვლები**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-259-257(კს-16)

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „...“ დირექტორმა და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაევის განხილვის საბჭოს 2014 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის №... საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ დირექტორმა ა. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინებით, შპს „...“ დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის, 1764.44 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

სასამართლომ აღნიშნულ განჩინებაში ასევე იმსჯელა აპელანტის შუამდგომლობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე დაუსაბუთებელი იყო, რადგან აპელანტის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუ-

არად დაადასტურებდა მის მძიმე ქონებრივ მდგომარეობასა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობას.

2016 წლის 2 თებერვალს შპს „...“ დირექტორმა ა. მ-მა სასამართლოს განცხადებით მიმართა, რომლითაც მოითხოვა, საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, სასამართლო დავის დასრულებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „...“ დირექტორმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, საზოგადოება მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გამო, სახელმწიფო ბაჟის გადახდას ვერ ახერხებს, რის გამოც, სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება ეზღუდება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს კა-

ნონით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებებს წარუდგენს.

აპელანტი შპს „...“ შუამდგომლობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინებით, შპს „...“ დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის, 1764.44 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

სასამართლომ აღნიშნულ განჩინებაში ასევე იმსჯელა აპელანტის შუამდგომლობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე დაუსაბუთებელი იყო, რადგან აპელანტის მიერ არ ყოფილა წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა მის მძიმე ქონებრივ მდგომარეობასა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობას.

განჩინების პასუხად, აპელანტმა კვლავ ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს შეზღუდვას, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, კონკრეტული საქმის გარემოებების, მათ შორის მხარის გადახდისუნარიანობისა და საქმის წარმოების ეტაპის გათვალისწინებით (*FC MRETEBI v. GEORGIA, PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND*). სასამართლო ხარჯების ინსტიტუტი, ზოგადად, მართლმსაჯულების ადმინისტრირების მიზანს ემსახურება კერძოდ, სასამართლო სისტემის საქმიანობის პროცესის დაფინანსებასა და ამკარად უსა-



ფუძვლო, არასერიოზული სასარჩელო განცხადებებისაგან დაცვას. კონვენციის მე-6 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას თავისი სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა სასამართლომდე მიიტანოს. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული მუხლი ადგენს „სასამართლოს უფლებას“, რომლის მხოლოდ ერთი ასპექტია სასამართლოს ხელმისაწვდომობა. სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური, იგი შეიძლება შეიზღუდოს, რადგანაც ხელმისაწვდომობის უფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მონესრიგებას მოითხოვს (KREUZ v. POLAND). აქვე გასათვალისწინებელია, რომ ევროპული სასამართლო განსხვავებულად უდგება პირველ და ზემდგომ ინსტანციებში გადასახდელ სახელმწიფო ბაჟსა და სხვა სასამართლო ხარჯებს. სასამართლოს პოზიციით, კონვენციის მე-6 მუხლი არ აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს შექმნის ვალდებულებას, მაგრამ თუ აპელაციის სისტემა გათვალისწინებულია, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მათ იურისდიქციაში დაცული იყოს კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები, იმგვარად, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს შემთხვევაშია დადგენილი (PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND). გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების გამოყენება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიმართ დამოკიდებულია საქმის წარმოების თავისებურებებზე, მხედველობაში მისაღებია პროცესის ერთიანობა შიდა კანონმდებლობის მიხედვით და სააპელაციო სასამართლოს როლი ამ პროცესში. ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით როცა შეზღუდვა აპელაციის დასაშვებობას შეეხება, ან როცა მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, რომ აპელანტმა, თავისი სააპელაციო საჩივართან მიმართებით უზრუნველყოს იმ ხარჯების დაფარვა, რომელსაც მეორე მხარე განიცდის პროცესის ფარგლებში, შესაძლებელია ცალკეული შეზღუდვების, მათ შორის ფინანსური ხასიათისა, დანესება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებისათვის. ამგვარი შეზღუდვები კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, ასევე დაცული უნდა იყოს ბალანსი გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ შედეგს შორის (PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები ითვალისწინებს მხარეებისათვის შეღავათის გაწევას სახელმწიფო ბაჟის გადახ-



დისას, თუმცა სავალდებულო პირობაა, რომ მხარემ უტყუარი მტკიცებულებებით დაადასტუროს სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში, შპს „...-ს“ ამგვარი მტკიცებულებები არ წარუდგენია სააპელაციო სასამართლოსათვის (მაგ. დეკლარაციები, საზოგადოების ბრუნვის ამსახველი დოკუმენტები, საზოგადოების საბანკო ანგარიშებზე საჭირო თანხის არ არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ), მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას კი, სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ შპს „...-ს“ ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოუსწორებია და არც ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება მოუთხოვია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად მართებულად იქნა დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო სარჩების გადახდისაგან  
ბანთავისუფლების საფუძვლები**

**ბანჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-319-317(კს-16)

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. გ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2012 წლის 20 ივნისის №... ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ე. გ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ე. გ-ს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დავის საგნის ღირებულების 4%-ის, მაგრამ არანაკლებ 150 ლარის გადახდა, ასევე დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

2015 წლის 17 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ე. გ-ის წარმომად-

გენელმა ზ. ხ-მა ნაწილობრივ შეავსო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი, კერძოდ, წარადგინა დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი და ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ ე. გ-ის არის პენსიონერი და აქვს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით აპელანტის – ე. გ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; აპელანტს გაუგრძელდა 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა 7 დღით ამ განჩინების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებიდან.

ამავე სასამართლოს 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით ე. გ-ის სააპელაციო საჩივარი, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. გ-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გაეთავისუფლებინა, შესაბამისად, 2016 წლის 20 იანვრის განჩინება უკანონოა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ე. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამარ-

თლოს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ე. გ.-ს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დავის საგნის ღირებულების 4%-ის, მაგრამ არანაკლებ 150 ლარის გადახდა, ასევე დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

განჩინების პასუხად მხარემ ხარვეზი ნაწილობრივ გამოასწორა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით აპელანტის – ე. გ.-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; აპელანტს გაუგრძელდა 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა 7 დღით.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის განჩინების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებას და მის მიერ სასამართლოს დანიშნულ საპროცესო ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობას. კერძო საჩივარი ერთადერთ არგუმენტს ემყარება – სააპელაციო სასამართლოს ე. გ.-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გაეთავისუფლებინა.

საკასაციო სასამართლო ამ მტკიცებას არ იზიარებს და მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლო უფლებამო-

სილია, ფიზიკური პირი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი უტყუარი მტკიცებულებებით დაადასტურებს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, ე. გ-ის სააპელაციო სასამართლოსათვის ამგვარი მტკიცებულებები არ წარუდგენია. ე. გ-ის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი რაიმე მტკიცებულება არც კერძო საჩივარს ერთვის. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლების თაობაზე მართებულად არ დააკმაყოფილა.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ ე. გ-ს ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოუსწორებია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად მართებულად იქნა დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების  
ან გადავადების საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-824-820(კს-17)

18 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“-მა 27.04.15წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ.ბათუმის მერიის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 260 061 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.05.2015წ. განჩინებით შპს „...“-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.2015წ. განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.11.2015წ. განჩინებით შპს „...“-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

შპს „...“-მა 02.03.2016წ. წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა შპს „...“ სასარგებლოდ მოპასუხეთათვის 1 039 000 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.11.2016წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „...“-

ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი, აპელანტს დაევალა განჩინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა, შპს-ს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.04.2017წ. განჩინებით აპელანტს 5 დღით გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი საპროცესო ვადა და დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან საჯარო რეესტრიდან ისეთი ამონაწერის წარდგენა, რომლითაც დადგინდება, რომ შპს-ს ქონება არ ერიცხება. აპელანტს განემარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში საჩივარი განუხილველად დარჩებოდა.

24.04.2017წ. შპს „...-ის“ წარმომადგენელმა რ. ფემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და წარადგინა საჯარო რეესტრის მიერ 24.04.2017წ. გაცემული ცნობა, რომლის თანახმად უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის (საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 2009 წლის მაისიდან) მონაცემებით შპს „...-ის“ საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის, ამასთანავე, საჯარო რეესტრის წარმოების წესი არ იძლევა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სრულყოფილად ძეგნის საშუალებას მხოლოდ ამ პირის სახელწოდების მიხედვით, სასურველია წარდგენილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08.05.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი ცნობა საჯარო რეესტრიდან იმის შესახებ, რომ შპს-ს სახელზე არ ირიცხებოდა რაიმე უძრავი ქონება არ წარმოადგენდა სათანადო მტკიცებულებას, რადგან საჯარო რეესტრის განმარტების თანახმად საჯარო რეესტრის წარმოების წესი არ იძლევა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სრულყოფილად ძეგნის საშუალებას მხოლოდ ამ პირის სახელის/სახელწოდების მიხედვით, გარდა ამისა, საქმის მასალებით დადასტურდა, რომ შპს „...-ს“ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის სა-

სარგებლოდ ბაჟი 5000 ლარის ოდენობით, შესაბამისად არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა შპს „...-ის“ მიერ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს, არ აქვს ქონება და რაიმე შემოსავალი. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი აპელანტის სახელზე რიცხული ქონების შესახებ ცნობა საჯარო რეესტრიდან სასამართლოში დადგენილ ვადაში იქნა წარდგენილი, შპს-მ შეასრულა სასამართლოს მოთხოვნა, ცნობიდან ჩანს, რომ შპს-ს საკუთრებაში არ ერიცხება უძრავი ქონება, ამდენად, შპს-მ პროცესუალურად შეავსო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, რაც ქმნიდა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველს. აღნიშნულის მიუხედავად წარდგენილი სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. განუხილველობის მართლზომიერებას არ ასაბუთებს პირველი ინსტანციის სასამართლოში შპს-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით – 5000 ლარის გადახდა, რადგან აღნიშნული თანხა სესხად იქნა აღებული შპს-ს დირექტორის მეგობრისაგან. გასათვალისწინებელია, რომ შპს ითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებელი უარი ლახავს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს „...“-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავი აწესრიგებს პროცესის ხარჯებთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები, სასამართლო ხარჯებს შეად-



გენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (სსკ-ის 37-ე მუხ.). „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის. ამდენად, სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანია, თუმცა კანონმდებლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონი) ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან მხარეთა განთავისუფლების და სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესაძლებლობას. სსკ-ის 48.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია გადაუვადოს მხარეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ მხარე სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებებს წარუდგენს. სსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, სწორედ მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...“ სააპელაციო ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას ითხოვდა იმ საფუძველზე, რომ ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს, არ გააჩნია რაიმე შემოსავალი ან ქონება, სააპელაციო საჩივარზე თანდართული არ ყოფილა რაიმე მტკიცებულება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი, შპს-ს დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 7 000 ლარის გადახდა. 20.03.2017წ. შპს-მ განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას, განმეორებით აღნიშნა, რომ შპს არ ფუნქციონირებს, ფირმას ან ფირმის დირექტორს რაიმე ქონება არ გააჩნია, შპს-ს არ აქვს საბანკო ბრუნვა. აღნიშნულის დასადასტურებლად შპს-მ განცხადებას დაურთო ამონაწერი „...“ არსებული პირადი ანგარიშიდან. სააპელაციო პალატის 03.04.2017წ. განჩინებით ხარვეზი არ იქნა მიჩნეული შევსებულად, შპს-ს გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი საპროცესო ვადა და ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან საჯარო რეესტრიდან ისეთი ამონაწერის წარდგენა, რომლითაც დადასტურდება, რომ შპს-ს სახელზე არ ირიცხება რაიმე ქონება. 24.04.2017წ. შპს-მ განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას და წარადგინა საჯარო რეესტრის მიერ 24.04.2017წ. გაცემული ცნობა, რომლის თანახმად უძრავ ნივ-

თებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის (საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 2009 წლის მაისიდან) მონაცემებით შპს „...-ის“ საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის, ამასთანავე, საჯარო რეესტრის წარმოების წესი არ იძლევა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სრულყოფილად ძებნის საშუალებას მხოლოდ ამ პირის სახელწოდების მიხედვით, სასურველია წარდგენილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია. სააპელაციო პალატის 08.05.2017წ. განჩინებით შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძველით, რომ საჯარო რეესტრის განმარტების მიხედვით, წარდგენილი ცნობა არ იძლევა შპს-ს საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სრულყოფილ ინფორმაციას, ამასთანავე შპს-ს პირველი ინტანციის სასამართლოში გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი.

სსკ-ის 368.5 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. განსახილველ შემთხვევაში შპს-ს ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის ან საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ცნობის წარდგენა, რაც შპს-ს მიერ ფორმალურად განხორციელდა, – მან სააპელაციო პალატაში წარადგინდა საჯარო რეესტრიდან ცნობა, რომლის თანახმად, შპს-ს სახელზე არ ირიცხება რაიმე ქონება, აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ცნობა არ წარმოადგენდა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის სათანადო მტკიცებულებას, რადგან საჯარო რეესტრის განმარტების თანახმად, საჯარო რეესტრის წარმოების წესი არ იძლევა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სრულყოფილად ძებნის საშუალებას მხოლოდ პირის სახელწოდების მიხედვით, არ ქმნიდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკმარის საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მტკიცებულებებს

წარუდგენენ მხარეები (სსკ-ის 103.1 მუხ.), თუმცა მტკიცებულებათა შეფასება საკმარისობისა და სათანადოობის კუთხით სასამართლოს პრეროგატივაა, ამასთანავე, სასამართლო აღჭურვილია შესაძლებლობით შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა (სსკ-ის 103.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში მართალია შპს-მ ფორმალურად შეასრულა სასამართლოს დავალება, – წარადგინა ცნობა, რომლის მიხედვით მის სახელზე არ ირიცხება რაიმე უძრავი ქონება, თუმცა მართებულია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ ცნობის შინაარსის გათვალისწინებით, უტყუარად არ დასტურდება შპს-ს მძიმე მატერიალური მდგომარეობა. აღნიშნულის მიუხედავად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ცნობის წარდგენა ქმნიდა ხარვეზის შეევების საპროცესო ვადის გაგრძელების, მხარისათვის დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შეთავაზების და არა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის საკუთრებაში უძრავი ნივთის არქონა ან მხოლოდ ერთი პირადი საბანკო ანგარიშიდან ამონაწერი იმთავითვე არ ადასტურებს მის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, მით უფრო მენარმე სუბიექტის შემთხვევაში, როდესაც მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში არსებული რეგისტრაცია აქტიურია და არ არის დაწყებული გადახდისუნარობის საქმის წარმოება. პალატა მიიჩნევს, რომ შპს-ს მატერიალური მდგომარეობის ამსახველი სარწმუნო დოკუმენტაცია დაცულია საგადასახადო ორგანოებში, სადაც სრულად უნდა მოიპოვებოდა მენარმის წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მართალია შპს-ს მიერ სააპელაციო ინსტანციაში წარდგენილი მტკიცებულებები არ ქმნიდა სახელმწიფო ბაჟის გადავადების საკმარის საფუძველს, თუმცა შპს-ს მიერ სასამართლოს დავალების ფორმალურად შესრულების პირობებში, სააპელაციო პალატას უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 64-ე, 103-ე მუხლებით და არ უნდა დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „...-ის“ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპიდან საქმე უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და:

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...-ის“ კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2017წ. განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

2. საქმე შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპიდან დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შეცდომით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-626-622(კ-17)

22 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ზ-ემ 11.03.2016 წ. სარჩელით მიმართა ხულოს მაგისტრატ სასამართლოს მოპასუხის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილების მიმართ და მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს თავმჯდომარე ზ. გ-ის მიერ 06.03.2002წ. სსებ შემონმების ამონაწე-

რი №... და სამედიცინო დასკვნა გაცემული ნ. ა. შ-ის სახელზე ეკუთვნის ნ. ზ-ეს. განმცხადებლის სასარჩელო მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილების დავალდებულება, განეახლებინა და განეგრძო ნ. ზ-ის სახელზე პენსიის თანხის გაცემა 70 ლარის ოდენობით.

ხულოს მაგისტრატი სასამართლოს 30.05.2016 წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

ხულოს მაგისტრატი სასამართლოს 15.08.2016 წ. გადაწყვეტილებით ნ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონულ განყოფილებას დაევალა ნ. ზ-ზე სოციალური პაკეტით გათვალისწინებული თანხის გაცემის განახლება მისი შეწყვეტის დღიდან – 2015 წლის აგვისტოდან და დაეკისრა ნ. ზ-ის სასარგებლოდ, წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 25 ლარის ანაზღაურება. ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2016 წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხულოს მაგისტრატი სასამართლოს 15.08.2016 წ. გადაწყვეტილება, რაც საკაცო წესით გასაჩივრდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს.

კასატორებს მიაჩნიათ, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლობმა გადაწყვეტილება მოსარჩელე ნ. ზ-ის პირველი სასარჩელო მოთხოვნის – სადავო უფლების დამდგენი დოკუმენტის მოსარჩელისადმი კუთვნილების ფაქტის დაუდგენლად მიიღეს. საპროცესო ხარჯების დაკისრების თაობაზე კი კასატორებმა აღნიშნეს, რომ როგორც ხულოს მაგისტრატი, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხს ფორმალურად მიუდგა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა უკანონო გადაწყვეტილება. კასატორებმა მიუთითეს სასკ-ის 9.1 მუხლზე, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნეს, რომ განსახილველი დავა ეხება სოციალური დაცვის საკითხს, რაზეც სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება და ასევე, სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, კასატორთა მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ბაჟი, მათზე დაკისრების ნაცვლად, მოსარჩელისთვის – ნ. ზ-ესთვის უნდა დაებრუნებინა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2017წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილებისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დასაშვებად იქნეს ცნობილი, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საპროცესო ხარჯების დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება იცნობს სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების ორი ტიპის მექანიზმს – მხარის მიხედვით და დავის საგნის მიხედვით. მხარის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების შესაძლებლობებს ითვალისწინებს სსკ-ის 46-ე მუხლი. სუბიექტის მიხედვით, სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების საკითხთან მიმართებით, საყურადღებოა ასევე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი, რომელიც აყალიბებს იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე ბაჟის გადახდისგან თავისუფლდებიან. დავის ხასიათის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების საკითხს აწესრიგებს სასკ-ის მე-9 მუხლი. ხსენებულ სარჩელებთან მიმართებით, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის განხილვისას. მოცემული საქმე სოციალურ დავათა რიგს განეკუთვნება. დავა უკავშირდება საპენსიო უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, შესაბამისად, სარჩელი აღიძრა სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან

დაკავშირებით, ამდენად, მოსარჩელეს არ უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი. სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, არ ათავისუფლებს მას მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაჟის ანაზღაურებისაგან. ამასთანავე, მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა მონინალმდევე მხარეს იმ შემთხვევაში ეკისრება, როდესაც ბაჟის გადახდა იყო სარჩელის წარმოებაში მიღების აუცილებელი პირობა. ბაჟის გადახდისგან განთავისუფლებული კატეგორიის საქმეზე მოსარჩელის მიერ ბაჟის გადახდა იწვევს გადახდილი თანხის არა მოპასუხისათვის დაკისრებას, არამედ შეცდომით გადახდილი ბაჟის ბიუჯეტიდან დაბრუნებას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული იყო შეცდომით გადახდილი თანხა, მეორე მხარისათვის დაკისრების ნაცვლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსარჩელისთვის – ნ. ზ-ისთვის დაებრუნებინა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობას არ შეესაბამება, რაც ამ ნაწილში განჩინების გაუქმების და საკასაციო პალატის მიერ, სასკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადანყვეტილების მიღების საფუძველს ქმნის.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სა-

აგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2016 წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა ხულოს მაგისტრატი სასამართლოს 15.08.2016წ. გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილებისათვის ნ. ზ-ის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში;

3. ე. ა-ეს ( პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს 20.02.2016წ. №... საგადახდო დავალებით მის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 25 ლარის ოდენობით;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# საკიებელი

<b>1. წინმსწრები განჩინების კანონიერების შემოწმება</b>	
წინმსწრები განჩინების კანონიერების თაობაზე გასაჩივრების წესი .....	3
წინმსწრები განჩინების გასაჩივრების წესი .....	13
<b>2. საპროცესო ვადები</b>	
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დამთავრება .....	27
გზავნილის წარმომადგენლისათვის ჩაბარებისას საპროცესო ვადის ათვლა .....	31
სასამართლო უწყების ჩაბარებისას საპროცესო ვადის ათვლა .....	36
სარჩელის სასამართლოში წარდგენის და ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ვადა .....	43
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა კურიერის მიერ სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის შემთხვევაში .....	49
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა .....	55; 60
საპროცესო ვადის დამთავრება .....	64
შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა .....	70
საპროცესო ვადის დენის დაწყების მომენტი .....	76
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელებისას გასაჩივრების ვადის ათვლა .....	80
ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის ათვლა .....	85
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა .....	89
საპროცესო ვადის გასვლის შედეგი .....	94
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენის დაწყება და ამოწურვა .....	100
სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის გაგრძელების საფუძველი .....	104
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის დაწყება .....	108
გზავნილის მხარის ოჯახის წევრისათვის ჩაბარებისას საპროცესო ვადის ათვლა .....	112
<b>3. დამატებითი გადაწყვეტილება</b>	
დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა .....	116

დამატებითი გადანყვეტილების  
გამოტანის საფუძვლები ..... 124; 130; 134

**4. სასამართლო ხარჯები**

სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი ..... 141  
სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის  
დედნის სასამართლოში წარმოდგენის ვალდებულება ..... 145  
სასამართლო ხარჯების გადახდის  
გადავადების საფუძვლები ..... 149  
სასამართლო ხარჯების გადახდისაგან  
გათავისუფლების საფუძვლები ..... 154  
სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან  
გადავადების საფუძვლები ..... 158  
შეცდომით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება ..... 164